საერთო გაზეთი

№24 (435) • 21 ივნისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილის მტრებო, თქვენ რომ ჭკუა გქონდეთ, ივანიშვილის ცუდად ყოფნას კი არ უნდა ნატრობდეთ, მასზე უნდა ლოცულობდეთ, რადგან სწორედ მან გადაგარჩინათ ქართველი ხალხის რისხვისგან

ვინ არის ქალბატონი ლეილა მუსტაფაევა და რა საიდუმლოს მალავს იგი?

როცა ხე კიტრია ანუ კიდევ ერთი შტრიხი რესპუბლიკელი ცოლ-ქმრის საოჯახო პორტრეტისათვის

რა ჭორებს ავრცელებს „თავისუფალი ზონა“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი ქალბატონის გარდაცვალების შესახებ?

თუ წარსულს მიუკერძოებლად არ შეაფასებ, ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს დაგეგმავ

პოლიტიკურ აჯაფსანდალში გარეული ვირის ტვინით მო-ჯადო-ებული საქართველო

კოჰაბიტაცია კარგი სიტყვა მეგონა და თურმე ინტიმური კავშირი არ ყოფილა?

ტურისტი რომ ასეთ აფიორას შეეჯახება, საქართველოში მეორედ ჩამოვა?

ვინ არის ქალბატონი ლეილა მუსტაფაევა და რა საიდუმლოს მალავს იგი?

ქალბატონმა ლეილამ შესანიშნავად იცის, რომ მისი მეუღლე არავის გაუტაცია

აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით ლამის მთელი მსოფლიო, თავისი პატივსაცემი სახელმწიფო სტრუქტურების და ნაკლებად პატივსაცემი საერთაშორისო არასამთავრობოებით, ათასი ჯურის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებით საქართველოსკენ იშვერს თითს და მას ჟურნალისტ აფგანის გატაცების ორგანიზებასა და თანამონაწილეობაში სდებს ბრალს, თუმცა ჯერჯერობით ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს და მთელი ეს ალიაქოთი და ისტერიული წივილ-კივილი აზერბაიჯანული ციხიდან მუხთარლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა – საღამო ხანი იყო. მეგობართან ერთად კაფეში ჩაი დავლიეთ. იქიდან გამოსულმა ლეილასთან, ჩემს მეუღლესთან, დავრეკე – სახლში მოვდივარ და რაიმე ხომ არ გინდათ რომ წამოვიღოო. მარკეტში შევედი და პური ვიყიდე. 4 ნომერი სამარშრუტო ტაქსის გაჩერებასათან ვიდექი. უცებ სამი მამაკაცი მომიახლოვდა. მტაცეს ხელი, მანქანაში ჩამტენეს, თავზე ტომარა წამომაცვეს და გაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს. გამტაცებლები ქართულად ლაპარაკობდნენ. რაღაც დროის შემდეგ სხვა მანქანაში გადამსვეს. გამტაცებლების ახალი ჯგუფის წევრები აზერბაიჯანულად საუბრობდნენ...

აქ გავწყვიტოთ ბატონი აფგანის თხრობა, რადგან ამბები, რომლებიც ამის შემდეგ მის თავს დატრიალდა, უკვე აზერბაიჯანულ მხარეს ეხება.

ქართველმა სამართალდამცავებმა დაკითხეს 200-მდე ადამიანი, რომლებიც იმ დროს, როცა აფგანის ვერსიით, მას ვიღაც-ვიღაცები მანქანაში ტენიდნენ, შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ და, ჰოი, საოცრებავ, ამ ორასი კაციდან ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ამ ინციდენტს შეესწრო.

აფგანი, სპორტული აღნაგობის, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი მამაკაცია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ როცა მას სამი უცნობი ადამიანი დაესხა თავს და მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასმა დაუპირა, ის აუცილებლად გასწევდა წინააღმდეგობას, არასაც ასევე აუცილებლად მოჰყვებოდა ხმაური, ყვირილი, აყალმაყალი, რაც ასევე აუცილებლად მიიქცევდა გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას.

ამ ორასი კაციდან, როგორც ვთქვით, არავის მსგავსი რამ არ უნახავს.

რა გამოდის? აფგანი, ეს ათლეტუსი აღნაგობის, ჯირკვივით ჩასხმული კაცი, ბატკანივით აიტატეს ხელში და ნარნარად ჩასვეს მანქანაში ისე, რომ აფგანს არც წინააღმდეგობა გაუწევია და არც არავისთვის უხმია საშველად – მიშველეთ, ვიღაც ბანდიტები მიტაცებენ და დამეხმარეთო.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება – ეს ამბავი საღამოს საათებში ხდება, როცა ჯერ კიდევ დღის სინათლეა და ქუჩაში უამრავი ადამიანი მიდი-მოდის.

თავი დავანებოთ იმ ორას მოქალაქეს – დანარჩენი უამრავი ადამიანიდან ერთმა მაინც როგორ ვერ დაინახა, რომ დღისით-მზისით ქუჩაში ადამიანს იტაცებდნენ და თუნდაც ინკოგნიტოდ, ვთქვათ და ფეისბუკით, როგორ არ ამცნო საზოგადოებას – კი, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, რა და როგორ იყო, მაგრამ, რა ვქნა, მეშინია და ჩემს ვინაობას ვერ გავამჟღავნებო.

აი, ამის მთქმელი ერთი კაცი მაინც რატომ არ გამოჩნდა ამდენი ხნის განმავლობაში?

იქნებ იმიტომ ვერ დაინახა ვერავინ ვერაფერი, რომ დასანახი არც არაფერი ყოფილა და ის, რასაც ბატონი აფგანი ჰყვება, სიცრუეა?

– შემთხვევის ადგილას უამრავი ვიდოკამერაა, რომლებიც აუცილებლად დააფიქსირებდნენ მომხდარს. ამოიღეთ კადრები და გაასაჯაროვეთო, – მოუწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს.

კი, მაგრამ, რა უნდა გაასაჯაროვონ სამართალდამცავებმა, საიდან მოიტანონ აფგანის გატაცების ამსახველი კადრები, თუ გატაცება არ ყოფილა და, აქედან გამომდინარე, ასეთი კადრებიც ვერ იარსებებს.

რა ქნას ამ შემთხვევაში შსს-მ, პროკურატურამ, სუს-მა – „გატაცების„ სცენები დადგან და გადაიღონ, რომ მუხთარლის ფანების სურვილი როგორმე დააკმაყოფილონ და „დოკუმენტურად“ დაადასტურონ.

ჰო, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელი საიდან მოიყვანონ – აფგანი ციხეში ზის და მისი ორეული საიდან გააჩინონ?

რაღაც უცნაური სურათი იკვეთება – რჩება შთაბეჭდილება, რომ აფგან მუხთარლის ქომაგებს, შინ თუ გარეთ, ასიმართლის დადგენა კი არ აინტერესებთ, არამედ სულ სხვა მიზანი ამოძრავებთ, კერძოდ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, იმიჯი შეულახონ საქართველოს და წარმოაჩინონ იგი, როგორც არადემოკრატიული, არასაიმედო ქვეყანა, სადაც ადამიანებს დღისით, მზისით, იტაცებენ.

ვინ შეიძლება ამით დაინტერესებული იყოს?

ძალიან ბევრი ვინმე, მათ შორის კი ყველაზე მეტად საქართველოში არსებული ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით „ნაცმოძრაობა“ და მისი განაყარი პარტიები, რომლებმაც სახელი კი გადაირქვეს, მაგრამ რწმენით, იდეოლოგიით, მოწოდებით მაინც „ნაციონალებად“ დარჩნენ.

როგორც ირკვევა, მუხთარლის და მის ჯგუფს გამორჩეული ძმობა და ყონაღობა აკავშირებთ ზემოთნახსენები პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებთან, ამ ძმობას კი, როგორც ამბობენ, ფრიად სერიოზული პოლიტიკური გეგმები უდევს საფუძვლად. როგორც ჩანს, რაღაც ძალებს ძალიან სურთ არაბული გაზაფხულის ანალოგიური აზერბაიჯანული გაზაფხული მოიყვანონ და ამისთვის საქართველოში გადმოფრენილ აზერბაიჯანელ „მერცხლებს“ აქტიურად იყენებენ.

აფგანი ერთ-ერთი ასეთი მერცხალთაგანია, რომელსაც მშობლიურ გალიაში ალბათ დიდხანს გამოკეტავენ.

* * *

საქართველოში მოღვაწე აზერბაიჯანული დიასპორის საქმეებში კარგად ჩახედული პირის ინფორმაციით, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, აფგან მუხთარლი ჟურნალისტი არ არის და არც არასდროს ყოფილა.

– აფგანს ჟურნალისტიკასთან ისღა აკავშირებს, რომ ის ერთ დროს ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნსლისტის ხატიჯე ისმაილოვას პირადი დაცვის წევრი იყო, ახლა კი ჟურნალისტ ლეილა მუსტაფაევას მეუღლეა.

წერილები, რომლებიც აფგან მუხთარლის სახელით ქვეყნდება, სინამდვილეში ლეილა მუსტაფაევას კალამს ეკუთვნის, რომელიც ძალიან ნიჭიერი და გონიერი ქალბატონია და იმ ოპოზიციურ ჯგუფში, რომელიც პრეზიდენტ ალიევს უპირისპირდება, ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენს.

ამ ჯგუფში აფგანი უფრო ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს კურირებს, საგამოძიებო ჟუსნალისტიკა კი, როგორც ვთქვით, ქალბატონი ლეილას პროფილია.

ძნელი ასახსნელი არ არიას, თუ რატომ აქვეყნებს ის წერილებს მეუღლის სახელით და რატომ ამჯობინებს ჩრდილში ყოფნას.

ებრძოლო პრეზიდენტ ალიევს და მის აშკარად ავტორიტარულ მმართველობას, ცხადია, დიდ რისკთან არის დაკაშვირებული.

სწორედ ამიტომ გადაწყდა ფრიად კრიტიკული და მამხილებელი პუბლიკაციების გამო პასუხისმგებლობა აფგანს ეტვირთა და ამ ნაბიჯით მოსალოდნელი დარტყმენი ქალბატონი ლეილასთვის აერიდებინათ.

ეს რომ არ გაეკეთებინათ, შეიძლებოდა დღეს აზერბაიჯანულ ციხეში აფგანი კი არა ლეილა მჯდარიყო...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალბატონმა ლეილამ ზუსტად იცოს მის მეუღლესტან დაკავშირებული საიდუმლოს ყველა დეტალი და ისიც იცის, რომ აფგანი იმ ავბედით საღამოს არავის გაუტაცია.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ლეილა მუსტაფაევას მიერ ერთ-ერთი ქართული ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუ, სადაც ის უცნაურ, ლოგიკას მოკლებულ პასუხებს იძლევა ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როდის განაცხადა მან ოფიციალურად მეუღლის გაუჩინარების ამბავი.

როგორც გახსოვთ, კაფედან გამოსულმა აფგანმა საღამოს მეუღლეს დაურეკა, რომ სახლში მოდიოდა, მაგრამ მთელი ღამე არ მოსულა.

იმის ნაცვლად, რომ ქალბატონ ლეილას დაუყოვნებლივ აეტეხა განგაში მეუღლის დაკარგვის გამო, მან გაუჩინარებული მეუღლე მხოლოდ დილით მოისაკლისა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ დაიწყო მან მეუღლის

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლამო მასალები.

ძებნა ღამის განმავლობაში, ქალბატონმა ლეილამ დაბნეული ღიმილით უპასუხა: კარგა ხანს ვეღლოდე, მაგრამ მედე ვიფიქრე, ალბათ მეგობრებთან შეიარა და ამიტომ შეაგვიანდა-მეთქი. ამასობაში კი დამეძინა.

ქალბატონო ლეილა, კაცმა დაგირეკათ და გარკვევით გითხრათ, რომ სახლში მოდიოდა. მეგობრებთან მივდივარ დროის სატარებლად და შემაგვიანდებაო, ხომ არ უთქვამს, სახლში მოვდივარო, გითხრათ და არ მოვიდა, თქვენ კი დაიძინეთ. კი მაგრამ რატომ არ შეგაშფოთათ იმ აზრმა, რომ სახლისკენ მომავალ თქვენს მეუღლეს, შეიძლება რაღაც უბედურება შემთხვეოდა ან მანქანა დაჯახებოდა, ან ვინმე დახვედროდა გზაში, ან, უბრალოდ, ცუდად გამხდარიყო და საავადმყოფოში წაეყვანთ.

ნორმალურ ადამიანს ამგვარი ფიქრები აუცილებლად მიეძალებოდა და, შესაბამისად, ადეკვატურ ნაბიჯებსაც გადადგამდა – დაუყოვნებლივ დაიწყებდა დაკარგული ადამიანის ძებნას, თუმცა ქალბატონმა ლეილამ ეს არ გააკეთა.

რით შეიძლება ამის ახსნა?

რით შეიძლება და იმით, რომ ქალბატონმა ლეილამ შესანიშნავად იცოდა, რომ მისი მეუღლე რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე მიდიოდა და შინ გვიანობამდე ვერ დაბრუნდებოდა.

ამიტომაც იყო ის მშვიდად...

გამოდის, რომ ის ვერსია, რომელიც აფგანის გატაცებასთან დაკავშირებით საზოგადოებას შესთავაზეს, ტყუილია?

დიდი ალბათობით ისე ჩანს, რომ ეს ყველაფერი მართლაც ტყუილია, ტყუილი, რომელიც მოსალოდნელი ექსტრემალური სიტუაციის გათვალისწინებით ან წინასწარ შეითხზა, ან შეითხზა მოგვიანებით, უკვე მომხდარი ფაქტის განეიტრალების და გადაფარვის მიზნით, მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ აფგანი აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს.

* * *

– გიორგი კვირიკაშვილმა მუხთარლის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა რომ შესთავაზა, ეს კარგია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი – თვითონ მარგველაშვილი რატომ არ ანიჭებს აფგან მუხთარლის საქართველოს მოქალაქეობას? დიახ, მარგველაშვილმა აუცილებლად უნდა მიანიჭოს აზერბაიჯანელ მუხთარლის საქართველოს მოქალაქეობა! – კატეგორიული ტონით განაცხადა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა.

ჯერ მეგონა, ხუმრობდა პატივცემული დავითი, მაგრამ ამ „ბრწყინვალე“ იდეას სათანადო არგუმენტები რომ მოაყოლა, დავრწმუნდი, სახუმაროდ რომ არ იყო საქმე.

მოქალაქეობის მინიჭება არ კმარა, ომიც ხომ არ გამოვუცხადოთ მეზობელ აზერბაიჯანს, ბატონო დავით, რომ გმირი აფგანი დავიხნათ?

ვფიქრობ, ისე აქვს აკრეფილი რესპუბლიკელ დავითს, რომ აზერბაიჯანისთვის ომის გამოცხადებაზე დაყოლიება მაინცდამაინც არ უნდა გაგვიჭირდეს.

თუმცა დასაძალებელი და დასაყოლიებელი, მე მგონი, არც არაფერია – აფგანისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, ფაქტობრივად, აზერბაიჯანისთვის ომის გამოცხადებას არ ნიშნავს?

– შეიძლება სახელმწიფო ინტერესებს მუხთარლისთვის მოქალაქეობის მინიჭებით რაღაც ზიანი მიადგეს, მაგრამ არა უშავს, დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია და უფრო მეტად ფასობსო, – დაგვირგვინა ბატონმა დავითმა თავისი გამოსვლა.

რა თქმა უნდა, ბატონო დავით, რა თქმა უნდა, დემოკრატია და ლიბერალური ღირებულებებია მთავარი, თოერმ ქართული სახელმწიფო წყალსაც წაუღია.

...ვწერ ამ სტრიქონებს და გულწრფელად მიკვირს: რამდენი ასეთი დავითი ჰყავს ამ ბედკრულ საქართველოს, ზოგი დავითის ხნისანი, ზოგი შედარებით ახალგაზრდა, ზოგიც მთლად საყმაწვილო ასაკის, რომლებიც დაახლოებით ისე ფიქრობენ, როგორც ეს ბრძენთაბრძენი დავითი ფიქრობს.

ესენი ახალი დროის ალე ფეოდოსიშვილები არიან, ოღონდ ამის შესახებ თვითონ არაფერი იციან.

ვინ იყო ალი ფეოდოსიშვილი?

ვინ იყო და გასული საუკუნის 30-იანი წლების პროლეტკულტელი მელექსე, რომელმაც ასეთი „უკვდავი“ სტრიქონები დაუტოვა შთამომავლობას.

„დედას მოვკლავ
და დავახრჩობ მამას,
რევოლუცია თუ
ითხოვს ამას“.

ჩასვით აქ რევოლუციის ნაცვლად სიტყვა „დემოკრატია“ და დავით ბერძენიშვილს და მის თანამოაზრეებს მიიღებთ, თუმცა ალისა და მათ შორის მაინც არის ერთი მცირე განსხვავება – ალი მხოლოდ თავის დედ-მამას ერჩოდა, ესენი მთელ სახელმწიფოს ერჩიან!

ვახტანგ ხარჩილავა

ბიძინა ივანიშვილის მტრებო, თქვენ რომ ჭკუა გქონდეთ, ივანიშვილის ცუდად ყოფნას კი არ უნდა ნატრობდეთ, მასზე უნდა ლოცულობდეთ, რადგან სწორედ მან გადაგარჩინათ ქართველი ხალხის რისხვისგან

„ჩემთვის გასაგებია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების სურვილი, მიაღწიონ სასურველ მიზანს და გამოიწვიონ დესტაბილიზაცია.

ჩემთვის გასაგებია, რომ მათ არ მოსწონთ დენდროლოგიური პარკი, ბლექსი არენა, ოპერის განახლებული შენობა და სხვა.

ჩემთვის გასაგებია, რომ ისინი ძალიან განიცდიან 2012 წლის არჩევნებში კრახს და ისიც გასაგებია, თუ რატომ არ მოსწონთ კოჰაბიტაცია.

კოჰაბიტაციის საზღვრებს მიღმა დარჩენილები, ორი დღეა ჩემს შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს მივიღე ინსულტი და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი გადამიყვანეს გერმანიაში.

გადაეცით ყველას, რომ ინსულტიანი პაციენტის ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება და, ვურჩევ, ჩანასახშივე მკვრადშობილი ჭორი „გააკეთილშობილონ“ როგორც უნდათ ისე.

მადლობა ქართველ ერს იმ დიდი სიყვარულისთვის, რაც ამ ცრუ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გამოხატეს ჩემს მიმართ.

ბიძინა ივანიშვილი".

ამ ჭორის გავრცელების შემდეგ ქართველმა ერმა მართლაც დიდი სიყვარული და სითბო გამოხატა ბიძინა ივანიშვილის მისამართით, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ეს ბინძური ჭორი სიხარულით მიიღეს და მისი სიმართლედ გასაღება სცადეს.

სოციალური ქსელებით გავრცელებულ მათ „პოსტებს“ რომ წაიკითხავ, გაოცდები — საიდან ამდენი ბოღმა, ამდენი სიძულვილი, ამდენი სულმდაბლობა.

„ის ხალხი, ვინც ამ დეზინფორმაციას სიხარულით ავრცელებს, მხოლოდ ჩემს სიბრალულს იმსახურებს, რადგან მათ არც დედის, არც მამის, არც შვილის და არც სამშობლოს სიყვარული იციან. ისინი საცოდავი ადამიანები არიან“,— თქვა ბერა ივანიშვილმა და არ შეიძლება მის სიტყვებს არ დაეთანხმო — ეს ადამიანები მართლაც საცოდავები არიან, თუმცა იმავე დროს ძალიან საშიშნი და სახიფათონი, რადგან ისინი საზოგადოებას წამლავენ და შხამავენ ყველაზე საშიში „ბაქტერიოლოგიური“ სენით — სიძულვილით, სისასტიკით, დაუნდობლობით.

მტრადაც არ უქნიხართ თქვენ ღმერთს, თქვე მართლა სულმდაბალო და ზნედაცემულო არსებებო. მით უმეტეს, ვერ ივარგებთ თქვენ ბიძინა ივანიშვილის მტრად, იმდენად პატარები და იმდენად უღირსები ხართ.

ღმერთმა ნუ ქნას და მათ რომ ძალაუფლება მისცე, ისინი ნახევარ საქართველოს ისე გაიდებენ ფეხქვეშ, თვალსაც არ დაახამხამებენ.

ისინი იქიდან, „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი ბნელეთიდან არიან.

სამწუხაროა, რომ ამ ბნელეთის მოციქულების ნაავკაცარს დღემდე არ დაესვა არა მხოლოდ პოლიტიკური და სამართლებრივი, არამედ წმინდა წყლის სამედიცინო დასკვნა.

დიახ, ეს ცხრაწლიანი პერიოდი, პირველყოვლისა, ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, ფსიქოანალიტიკოსების ღრმა და საფუძვლიანი კვლევის საგანი უნდა გახდეს, რადგან სხვანაირად ვერასოდეს ვერ გავიგებთ სრულფასოვნად, ვინ იყვნენ და ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებმაც ამდენი ენით აღუწერელი ბოროტება ჩაიდინეს და როგორც მათი ბოლოდროინდელი პოსტებიდან და რეპლიკებიდან ირკვევა, ახლაც მზად არიან იგივე გაიმეორონ.

მტრებიო, ვთქვით ზემოთ...

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მტრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ.

იმ დაუწერელი ზნეობრივ–მორალური კოდექსის მიხედვით, ქართველი კაცი მტერზე საუბარს, მის გაკილვას და გალანძღვას არ იკადრებდა, რადგან თვლიდა რომ, როგორც თვითონ, ისე მისი მტერიც, ღირსეული ადამიანი იყო და არა ვიღაც ბეჩავი და უღირსი გლახაკი.

თქვენ პათოლოგიური ზიზღი და სიძულვილი რომ არ გძალავდეთ, ბატონ ბიძინას კი არ უნდა მტრობდეთ და მის ცუდად ყოფნას კი არ უნდა ნატრობდეთ, მასზე უნდა ლოცულობდეთ, რადგან სწორედ მან გადაგარჩინათ თქვენს მიერ ძალიან გამწარებული და ძალიან შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის რისხვისგან, „თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს, გაშლილს, გაფანტულს ველადა“...

ვახტანგ ხარჩილავა

როცა ხე კიტრია ანუ კიდევ ერთი შტრიხი რესპუბლიკელი ცოლ-ქმრის საოჯახო პორტრეტისათვის

„...რომელ პოლიტიკურ ძალებთან ვაპირებ თანამშრომლობას?

პირველ რიგში მინდა ვახსენო რესპუბლიკური პარტია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტია, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით.“ – განაცხადა 2011 წლის 12 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა და ეს იყო მისი შეცდომა.

მაშინ, ცხელ გულზე, ეს შეცდომა მახვილ თვალს გამოეპარა. დრო იყო იმდაგვარი – სხვა ვნებები ჭარბობდა, სხვა ტიპის განწყობა სუფევდა. რესპუბლიკელთა პირშავობის ამოსაცნობად საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებს იმჟამად არ სცხელოდა და ამიტომაც შეცდა ივანიშვილი და შეცდა ხალხიც. სინამდვილე კი მოგვიანებით გამოიკვეთა.

საბედნიეროდ, ზემოხსენებული სტრიქონების ავტორს არც შეცდომის აღიარება უჭირს და არც მისი დანახვა–გამოსწორება. ჰოდა, გამოასწორა კიდეც... მან თვალნათლივ დაანახა საზოგადოებას მათი რეიტინგი, ადგილი და რეალური სახე.

რესპუბლიკელთა პირშავობის ეფექტი მარტივია, იდეა კი ყოფილ საპარლამენტო ოჯახურ წყვილს ეკუთვნის: მავანი ბრიყვი ერის გულის მოსაფონად, ერთის მხრივ, პოლიტიკოსის სპეტაკი ხელთათმანი უნდა მოიხდინო, ხოლო მეორეს მხრივ, პატრონსაც უნდა უღალატო და პატრონმოწყობილიც გახდე, რათა პროექტი – „ახლა მე მიმიშვით ბუხართან“ – ოცნებიდან რეალობად აქციო.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო – ხანგრძლივი და ძვირადღირებული დასვენების შემდეგ ცოლ-ქმარი კვლავ გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე – უსუფაშვილი, მენტორული ტონით შეუდგა ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოძღვრას, ხოლო მისი მეუღლე, მისთვის ჩვეული პროვოკაციული ტერმინოლოგიით მანიპულირებას სამშობლოს თემაზე (მათივე განსაზღვრებით, ისინი ნებისმიერ კომფორტულ ქვეყანას მიიჩნევენ სამშობლოდ).

გამოტეხილად ვიტყვი: რესპუბლიკელების მიერ კანონი უხეშად და მიზანმიმართულად რომ დაირღვა, ამას ადვილად დავამტკიცებ, ოღონდ ამისთვის დროის უკან გადახვევა მომიწევს.

2015 წელი – საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის პლენარული სხდომის ერთი სადაგი კალენდარული დღე.

დეპუტატებმა კანონშემოქმედებითი რუტინის გარდა საკადრო საკითხებიც უნდა განიხილონ: ალასანიას კაცის მაგივრად სხვა კაცი უნდა ჩასვან ვიცე-სპიკერის სავარძელში და, რაც მთავარია, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე ახალ კანდიდატებს უყარონ კენჭი.

სხდომა დაიწყო. ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გახსნა. მისი მეუღლე, ასევე პარლამენტარი და რესპუბლიკელი თინათინ ხიდაშელი, ამ დროს დარბაზში არ ზის. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება მივლინებით. რესპუბლიკელებმა ივანიშვილს, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, სხვა პოლიტიკურ ძალებს, საკუთარ უმრავლესობასა და, საერთოდ, ქვეყანას უნდა მოუგონ – მარეგულირებლის ერთ-ერთი წევრის პოსტზე თავისი კანდიდატი ძალის გამოყენებით გაიყვანონ.

საქმეს ის უფრო ართულებდა, რომ ხიდაშელ-უსუფაშვილის ფავორიტი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი იყო, კანონით გათვალისწინებულ არცერთ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა. ნებისმიერი მამაცი დეპუტატი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ამ კაცის არჩევას ხელს არ აუწევდა, მაგრამ რესპუბლიკელებს ასე უნდათ, ხოლო რახან უნდათ, მაშასადამე მათი ხე კიტრია და გინდა ჭამე, გინდა ...

ეს იცის ხიდაშელმა. ისიც იცის, რომ მათი ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცების გზა ჭიდაობა და ვაჭრობა, შანტაჟი და ხელების გადაგრეხვაა, სხვა რესურსი მათ არ გააჩნიათ, ეს 2016 წლის არჩევნებმაც დაადასტურა. ისინი ამისთვის მზადა არიან. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ჯერ კიდევ მაშინ დაადგა თვალი, როცა ივანიშვილის სიტყვების შემდეგ ფენიქსივით აღსდგა ფერფლიდან და პარლამენტის კარი შეაღო. შეაღო და მახვილი თვალი მყისვე მარეგულირებლისკენ გაექცა. ვიდრე მისი კოალიციური თანაგუნდელები პრეზერვატივებისა და პარლამენტში ჩოხა-ახალუხით სიარულის საკითხებზე დავობდნენ, ხიდაშელმა გეში აიღო, ქვეყნის მართვისა და ხალხის დაზომბირების ერთ-ერთი ბერკეტის ადგილსამყოფელს მიაგნო, ფარად სამართლიანობის აღდგენა აიფარა და თავმჯდომარე-მეუღლეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია გამოსტყუა, სათავეში ჩაუდგა და ნება-ნება შეჰყვა „ახლა მე მიმიშვით ბუხართან“ რესპუბლიკელების ცნობილი გეგმის განხორციელებას.

სწორედ ამ გეგმაში ჩაიწნა პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. მინიმუმი ხიდაშელის კომისიამ 2013 წელსვე შეასრულა – მარეგულირებლის იმჟამინდელი თავმჯდომარე, სხვათა შორის, ყოფილი რესპუბლიკელი, მაგრამ შემდგომ იგივე რესპუბლიკელების რისხვაში მოყოლილი კარლო კვიტაიშვილი გააიმპიჩმენტა, პროგრამა-მაქსიმუმისთვის პოლიგონი გაითავისუფლა, და აჰა, ამ მაქსიმუმის დროც დადგა – 2015 წელს – როცა მარეგულირებლის მზის სინათლე, სიკვდილ-სიცოცხლის ფასად, მხოლოდ რესპუბლიკელმა კანდიდატმა უნდა დაინახოს.

უპირველესად იმიტომ, რომ მერაბ ქათამაძე ყველა იმ საეტაპო მოთხოვნას არღვევს, რომელიც თავად ხიდაშელ-უსუფაშვილის პარლამენტმა შეცვალა საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. კერძოდ, ხიდაშელამდე ეპოქაში ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრობის კანდიდატი არ იყო შებოჭილი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნებით. არ იყო გამოკვეთილი არც სპეციალობის, არც საზოგადოებრივი ნდობისა და აღიარების აუცილებლობა, და არც მმართველ თანამდებობაზე მუშაობის სამწლიანი გამოცდილება. ეს მოთხოვნები 2013 წლის სექტემბერში ჩაამატა კანონში ახალმა უმრავლესობამ და **მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი** ახლებურად ააჟღერა.

იაღლიში მოუვიდა ცოლ-ქმარს. რაღაც ვერ გათვალეს. ასეა თუ ისე, შეუსაბამობა სახეზეა. მათივე მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ მათივე კანდიდატი ჩააყენა ჩოქბჯენში, თუმცა რესპუბლიკელების პრინციპი – ჩემი ხე კიტრია...– ძალაში დარჩა და პლენარულ სხდომაზე თვალნათლივ გამოჩნდა. ამ უკანონობას „აპრავებდა“ ასევე რესპუბლიკელების სტაჟიანი წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, „თემიდად“ აღიარებული ვახტანგ ხმალაძე, რომლის ვიზირების გარეშე პლენარულ სხდომაზე ვერც ერთი საკითხი ვერ შემოვიდოდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ამ კონკრეტული აპლიკანტის დოკუმენტაცია კანონთან შეუსაბამობის გამო. არც უნდა მიეღო, არამცთუ პარლამენტში გადაეგზავნა განსახილველად. პრეზიდენტისა და უსუფაშვილ-ხიდაშელის ტანდემის მიერ კანონის სინქრონული იგნორირება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ძალიან ჰგავს კლასიკურ კორუფციულ სქემას.

რესპუბლიკელების ფავორიტი, არც სპეციალობით შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნას და არც მმართველი თანამდებობა ეპყრა ოდესმე. ამას ადასტურებს მისი ინდივიდუალური ბიოგრაფიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა განსახილველად. რაც შეეხება საზოგადოებრივ ნდობასა და აღიარებას, აქ კრიტერიუმები ძალზე ბუნდოვანია: თუ სანათესაოსა და ნაცნობ-მეგობრებში ტრიალი საზოგადოებრივ აღიარებას ნიშნავს, მაშინ ქათამაძის შემთხვევაში კამათი მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო თუ საზოგადოებრივი ნდობა სანათესაო-ნაცნობ-მეგობრობის ჩარჩოებს სცდება და სხვა მასშტაბებს გულისხმობს, კერძოდ, საკანონმდებლო ორგანოს მდივნის გარემოს – ქათამაძის მეუღლე პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილის მდივანი იყო საკანონმდებლო ორგანოში, ლევან ბერძენიშვილი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომა რის პირველი მოადგილე იყო და იმავდროულად ძირძველი რესპუბლიკელი. ქათამაძის მიერ წარდგენილი საბუთები შესაბამისმა პირებმა სათანადოდ კი არა, საერთოდ არ შეისწავლეს. ხელისუფლების შტოები – ხიდაშელის ენით რომ ვთქვათ, კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე მიზანმიმართულად დადუმდნენ. ამ დღეს კიდევ ერთი შტოც – პარლამენტიც დადუმდება მიზანმიმართულად. საინტერესო ისაა, ამდენ საცერში როგორ არ გაიცხრილა ქათამაძის CV, როგორ არავინ მიაქცია კანონებთან შეუსაბამობას ყურადღება არც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და არც პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში. არის აქ რაღაც მისტიკურ-გონივრული ეჭვისმაგვარი.

ქათამაძის კანდიდატურა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის პოსტზე „მაუწყებლობის შესახებ” კანონის **მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტსაც** არღვევს, რომელიც ღაღადებს: „...კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად არის...პოლიტიკური პარტიის წევრი”.

არადა არის ქათამაძე რესპუბლიკული პარტიის წევრი. თანაც ისეთი კი არა – რიგითი და რამე, არამედ ფიგურაა, პარტიაში „სტოსი“ მიჰყავს. ამას იგი თავისი პირით ამბობს. თანაც ვინმეს კი არ ეჭორავება, არამედ ჟურნალისტთან აქვს მუსაიფი გაბმული: „ჩემი დაკავება ჩემს პოლიტიკურ აქტივობასთანაა დაკავშირებული. ვარ რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.“, – ასე აცხადებს იგი ჟურნალისტთან გულახდილი საუბრის დროს 2010 წლის 28 იანვარს და მისი ეს თამამი სიტყვები ინტერნეტ-გამოცემებშია დაარქივებული. საკმარისია, დაინტერესებულმა პირმა სისტემა **Google** ამ მიმართულებით გააააქტიუროს, რომ სტატიასაც ნახავს და ქათამაძის ფოტოსურათსაც, რომელიც ცივ ზამთარში, სიცივეშია გადაღებული. როგორც რესპუბლიკელების ერთ-ერთი „წამყვანი“ ფიგურა, იგი რესპუბლიკელების საინფორმაციო ყოველთვიური ბიულეტენის რედაქტორიც იყო, ამას „ვიკიპედიაც“ ადასტურებს: **„რესპუბლიკელები” – საქართველოს რესპუბლიკული პარტიის საინფორმაციო ბიულეტენი. გამოდის 2008 წლის დეკემბრიდან. იბეჭდება ქართულ ენაზე. ბიულეტენის ტირაჟი 3000 ეგზემპლარია. რედკოლეგიის წევრები არიან: ლევან ბერძენიშვილი, დავით ზურაბიშვილი, ფრიდონ საყვარელიძე, ივლიანე ხაინდრავა, მერაბ ქათამაძე (რედაქტორი).“**

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ქათამაძე სწორედ ამ პარტიული აქტივობების გამო დაიწუნეს 2013 წლის დეკემბერში, როცა მის კანდიდატურას იხილავდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე. მეურვეობის კანდიდატთა შესარჩევმა საზოგადოებრივმა კომისიამ, რომელიც 2013 წლის 11 დეკემბერს შეიქმნა და 10 დღე სწავლობდა კანდიდატთა ბიოგრაფიებს, პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა: **„შერჩევის დროს ამოსავალი, ერთის მხრივ იყო ის, რაც ამ კანონით არის განსაზღვრული, თუ ვინ უნდა იყოს დამოუკიდებელი საბჭოს წევრი და მეორეს მხრივ ის პარამეტრი, რაც**

თავად პარლამენტმა დაუშვა, როდესაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, კარლო კვიტაიშვილის საკითხს იხილავდა – რომ თუკი პირი მონაწილეობდა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიტინგზე, შეხვედრაზე ან არჩევნებში, ეს პირები არ შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი საბჭოს წევრები.”

ხიდაშელის კომისიამ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი შემდეგი ფორმულირებით გააიმპიჩმენტა: კვიტაიშვილი ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება, ამ პარტიის არაოფიციალური წარმომადგენელი იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მარეგულირებლიდან უნდა მოიკვეთოსო. ხიდაშელის კომისიის დასკვნის მე-13 თავში „ინტერესთა კონფლიქტი მარეგულირებელ კომისიაში“ წერია: **„მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კომისიის წევრი, ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით განაცხადოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი ან მისი ოჯახის წევრის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.“ საგულისხმოა ისიც, რომ განცხადების შემდეგ შესაბამისმა პირებმა გულდასმით შეისწავლონ წარდგენილი საბუთები, მოახდინონ სათანადო რეაგირება. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მაღალი ალბათობით საქართველოს პრეზიდენტი, ასევე პარლამენტი არ ფლობდა დეტალურ ინფორმაციას კონკურსანტების შესახებ ან პირიქით – აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტო მიზანმიმართულად დუმდა წლების განმავლობაში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე.”**

შეგახსენებთ, ეს მავანი მოკვდავის კაპრიზი კი არა, თვით ხიდაშელის სიტყვებია, რომელმაც კვიტაიშვილი შეიწირა.

კიდევ ერთიც: ხიდაშელი თავის დასკვნაში აცხადებს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებელი წყაროებით გადაამოწმოს კვიტაიშვილთან დაკავშირებული ფაქტები, მაგრამ, რახან ხიდაშელი ამბობს, ეჭვობს და ვარაუდობს, მაშასადამე, მისი ხე კიტრია, კიტრი კი გინდა ჭამე, გინდა ... მოკლედ, კვიტაიშვილი პარტიასთან ასოცირების მოტივით გააიმპიჩმენტეს.

ამაზე შეგვიძლია მხოლოდ მწარედ გავიცინოთ და ვთქვათ: „ის, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს“.

კომუნიკაციებზე ზოგადად, კონკრეტულად კი ელექტრონულ მედიაზე კონტროლი მომავალი პოლიტიკური გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარია. აქვს ამის გამოცდილება ხიდაშელს, იცის ეს რესპუბლიკურმა პარტიამაც. ამიტომაც არის აუცილებელი კომუნიკაციებში თავისი კაცის ჩანერგვა, მედიაზე კონტროლი და, თუ საჭირო გახდა, შანტაჟიც კი. ყოველივე ეს არის მძიმე ორთაბრძოლა. ორთაბრძოლა ყველასთან: ხელისუფლებასთან, საკუთარ უმრავლესობასთან, ყავლგასულ უმცირესობასთან, სინდისთან, ნამუსთან, სამართლიანობის აღდგენის იდეასთან; ეს არის ევროპულ ღირებულებებთან კეკლუცობა, რადაც უნდა დაჯდეს, შეეფერება თუ არა კანონის მოთხოვნას, რესპუბლიკელების ფავორიტმა უნდა იმარჯვოს. დანარჩენი ტექნიკის საქმეა. თუ საჭირო გახდება, ვაჭრობაც მოსულა.

მოკლედ, ვახტანგ ხმალაძემ (იურიდიული კომიტეტის ვიზირების გარეშე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტი თავისით ვერ იხილავს პარლამენტის პლენარული სხდომის „შუქს“) და დანარჩენმა რესპუბლიკელებმა, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის ბოროტად გამოყენებით პარლამენტს მიაღებინეს კანონის მრავალმუხლიანი დარღვევით კომისიის წევრად მერაბ ქათამაძის არჩევის გადაწყვეტილება და კომუნიკაციების ეროვნული კომისია თავისი უპასუხისმგებლობით აქციეს არალეგიტიმურად.

შორს გაიხედეს – ეხლახანს დააფუძნეს ტელევიზია – კომისიაშიც თავიანთი კაცი ჰყავთ.

არანაკლები წვლილი მიუძღვის ხიდაშელ-უსუფაშვილის ტანდემს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირებასა და მისი თავმჯდომარის შერჩევაში; აქვე უნდა ითქვას, რომ აჭარის ტელევიზიის დირექტორად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის მდივანი, საიას იურისტი, და რაც მთავარია, მისადმი მორჩილების ნიშნით გამორჩეული, ნათია კაპანაძე გაამწესა.

აი, ვინ არიან რესპუბლიკელები, კიდევ ერთი შტრიხი პორტრეტისათვის:

უფლებადამცველთა მანტიამოსხმული საბჭოური ყაიდის პოლიტიკური საქმოსნები.“

ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით „მისტერ და მისის სმიტების“ სატელეკომუნიკაციო სფეროსადმი დაინტერესებით. უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ სფეროში მათი მიზნები მიღწეულია. თუმცა მათი ინტერესები მრავალფეროვანია...

დავით ქავთარია

გრიგოლ გაგნიძე:

ნარკოლიბერალიზაციას ჯობს უფრო მეტი სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნას

გვესაუბრება ადვოკატი, უფლებადამცველი, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე.

– ბატონო გრიგოლ, გააქტიურდა დისკუსიები ნარკოლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, პარლამენტი კანონპროექტს ამზადებს. როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ, ნარკოლიბერალიზაცია რას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას?

– ნარკოლიბერალიზაციის მომხრეები – „გირჩი“ იქნება თუ ვინც გინდა იყოს და რა სარჩულითაც უნდა ფუთავდეს ამ ინიციატივას, ყველანი არიან ერის გენოფონდის მოსპობის მომხრე და საბოტაჟს უწყობენ ქვეყნის მოსახლეობას, ახალგაზრდობას, საქართველოს მომავალს, რადგან სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ, ნარკოლიბერალიზაციის პირობებში რისკ-ფაქტორებს.

ოპოზიციის ზეწოლით, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩასაფრებული პოლიტიკით და ვინ იცის, კიდევ ვისი ზეწოლით, ხელისუფლება აცხადებს, რომ საკითხს დასვამს ყველა სახის ნარკოტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

მიმაჩნია, რომ ეს დამღუპველი იქნება საზოგადოებისთვის.

დღეს საქართველოში, დაახლოებით, 50 000 აღრიცხული ნარკოდამოკიდებულია, ეს რიცხვი რომ 100–150 000-მდე გაიზარდოს, ამის რეალური რისკები არსებობს. ხელისუფლება კი ორ ცეცხლსშუა იწვის – ვალდებულება აქვს აღებული, გადადგას ნაბიჯები ნარკოლიბერალიზაციისკენ.

პირადად მე ნარკოლიბერალიზაციის მომხრეთა რიგებში გახლავართ, რადგან მიმაჩნია, რომ ნარკომანი ციხეში არ სწორდება. ციხე, ამ შემთხვევაში, ალბათ, არის პრევენცია, რომ სხვა მოერიდოს ნარკოტიკის მოხმარებას თავისუფლების აღკვეთის შიშით, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ მაინცდამაინც ნარკომომხმარებლისთვის ლიბერალური კანონი უნდა მივიღოთ, პირველ რიგში, ზუსტად უნდა აღვრიცხოთ, რამდენი ნარკოდამოკიდებული გვყავს ქვეყანაში და მათი განკურნების ღონისძიებები დავსახოთ. სასურველია, ჯერ სარეაბილიტაციო ცენტრების რაოდენობა გაიზარდოს.

როგორც ხელისუფლება აღნიშნავს, სარეაბილიტაციო ცენტრების რაოდენობის გაზრდა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაშინ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება, თუ აღრიცხვაზე მყოფ ნარკოდამოკიდებულებისთვის ემკურნალათ ხარისხიანად და მხოლოდ ამის შემდეგ მომხდარიყო ნარკოლიბერალიზაციის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. სხვაგვარად გამოდის, რომ ნარკომომხმარებელთა რიცხვი გაიზრდება და სარეაბილიტაციო ცენტრები ველარ შეძლებენ პაციენტთა ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ მომსახურებას.

ვინც ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას იცნობს, ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ნარკომანები, რომლებიც მსუბუქ თუ მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებს იყენებენ, კანონმორჩილი მოქალაქეები არიან. არა, ბატონებო, ისინი გახლავან პოტენციური გამსაღებლები, პოტენციური კრიმინალები. გასაღება, ცხადია, მხოლოდ ფულზე გაყიდვას არ გულისხმობს. ნარკომანი უწილადებს ხოლმე ნარკოტიკულ საშუალებას სხვას...

ნარკოტიკის შეძენისთვის ბევრი ახალგაზრდა სჩადის დანაშაულს, რათა ძვირადღირებული ნარკოტიკის შესაძენად თანხა იშოვოს და სხვ. ნარკოტენდენციის მომხრე გარკვეული კატეგორია უფუჭებს მომავალს ახალგაზრდებს, ვისაც ითრევენ ნარკოჭაობში. ახალგაზრდობამ უნდა გააცნობიეროს, რომ მათი გავლენის ქვეშ მოქცევით ესპობათ საშუალება ცხოვრებისეულ განვითარებაში, კარიერულ წინსვლაში. აუცილებელია, სახელმწიფო ზრუნავდეს ახალგაზრდებზე და არა ერთჯერადი სატელევიზიო აგიტაციით აწვდიდნენ ინფორმაციას ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ, ასევე უნდა მიმდინარეობდეს აგიტაცია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ახალგაზრდობამ უნდა გააცნობიეროს, ნარკოდამოკიდებულების რისკებით რა საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგნენ, იღუპავენ თავს, ისპობენ ჯანმრთელი გავითარებისა და ქვეყნისათვის წესიერი მოქალაქის პერსპექტივას.

რა ქნას ხელისუფლებამ? – ნარკოლიბერალიზაციის კანონი რომ მიიღოს და თან საზოგადოების კონტროლის სადავეები არ გაექცეს? თქვა კიდევაც არჩილ თალაკვაძემ – ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას ნარკოდილერები ბოროტად იყენებენო. სიტუაცია იქითკენ მიდის, რომ ხელისუფლებას, უნდა თუ არა, მოუწევს ბრძოლის გაძლიერება ნარკომომხმარებლების წინააღმდეგ.

მარიხუანის ლეგალიზაციამ პაპუაშვილის დროს უბიძგა საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც 50–60 გრ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მოხდა, მანამდე თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან ათ წლამდე იყო 50–70 გრ მარიხუანის ფლობაზე. კანონი მკაცრი იყო.

მე როგორც უფლებადამცველი, ყოველგვარ ძალადობას ვემიჯნები, არავისი დასჯა არ მსურს, მაგრამ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ყველა სახის ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაცია.

– ანუ კატეგორიებად უნდა დაიყოს?

– „თეთრი ხმაურის“ მესვეურები ამბობენ, რომ ყველა სახის ნარკოტიკზე გამოცხადდეს ლიბერალიზაცია. მე მიმაჩნია, მძიმე ნარკოტიკის ლიბერალიზაცია არ უნდა მოხდეს და კატეგორიები გათვალისწინებული უნდა იყოს.

ამასთანავე, ახლავე უნდა დაიწყოს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნის სამუშაოები, რაც, გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, რას ვიზამთ, ამ პრობლემას ვერ გავექცევით.

ირანდა კალანდაძე

593 56 11 18

გიორგი ბურჯანაძე:

ტურისტი რომ ასეთ აფიორას შეეჯახება, საქართველოში მეორედ ჩამოვა?

ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, საქართველოში უკვე გაცხოველებული ტურისტული სეზონია, რაც ტურისტულ ზონებში პროდუქტების ფასებსაც შეეტყო და მომხმარებლის ჯიბესაც.

ტურიზმი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტული დარგია და მისი წილი ქვეყნის შიდა პროდუქტში 6%-დან 7%-მდე მერყეობს, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ტურიზმს, რადგან ეს საერთაშორისო ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და ეროვნულ ვალუტას გაუფასურებისგან იცავს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016 წლის მანძილზე ტურიზმზე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7.3% მოდიოდა, როცა წინა წლების მაჩვენებელი 6.6% გახლდათ. ეროვნული ბანკის გათვლებით, საქართველოში ვიზიტად მყოფმა ტურისტებმა 2016 წლის პირველ სამ კვარტალში 1.68 მილიარდი დოლარი დახარჯეს, რაც წინა წლის მონაცემებს 11%-ით აღემატება. საქართველოს მონახულების მსურველთა მატების ტენდენციის მიუხედავად, ბოლო წლების მონაცემები 2007–2013 წლის მაჩვენებლებს მაინც ჩამორჩება, რისი მიზეზიც 2014 წელს დაწესებული სავიზო რეგულაციები გახდა.

არსებობს ერთი მიზეზი, რომელმაც შესაძლოა, უმრავ ადამიანს სქართველოში სტუმრობის სურვილი სამუდამოდ დაუკარგოს. ვინ და რა მეთოდებით ძარცვავს საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს და რატომ მოიკლო მეზობელი თურქეთიდან ვიზიტორთა რაოდენობამ? ამ და სხვა თემებზე „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე გვესაუბრა:

— მოგეხსენებათ, რომ ტურიზმი ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული დარგია და ეროვნული ვალუტის სიმყარეც გარკვეულწილად, უცხოეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მინდა იმ პრობლემაზე გიამბოთ, რომელიც შეიძლება, ქვეყანაში ტურისტული ნაკადის შემოდინებისთვის შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს. როგორც იცით, ტურისტული სეზონი ძალას იკრეფს და ტურისტების პრობლემებთან დაკავშირებული ინფორმაციით ხშირად გვიკავშირდებიან. დაახლოებით, სამი კვირის წინ მივიღე ინფორმაცია, რომ საქართველოში სტუმრად მყოფ ინდუსს „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ღამის კლუბში ერთ ბოთლ შამპანურში 5000 დოლარი გამოსძალეს. გვაქვს ფაქტები, რომ ღამის ბარში შესულ ევროპელ სტუმარს ჭიქა მარტინში, რომლის ფასი გერმანიაში მაქსიმუმ 200 ევროა, ჩვენთან 2000 ევრო და მეტი მოთხოვეს.

— **ღამის კლუბებში ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის განსხვავებული ფასებია?**

— სწორედ ასეა. საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერი მსგავსი ტიპის დაწესებულებაში მენიუს რამდენიმე ვარიანტი აქვთ და კლიენტს ეროვნების, სიმთვრალე-სიფხიზლის, ფულიანობის თუ უფულობის მიხედვით ურჩევენ. ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ თავისუფლების მოედანზე მდებარე ღამის კლუბში დანაშაული მოხდა. სიტუაციის გასარკვევად ადგილზე მივედით და დაწესებულების ხელმძღვანელის კაბინეტში საკუთარი თვალით ვნახე მენიუს რამდენიმე ვარიანტი. ადგილობრივებისთვის განკუთვნილი მენიუში ჭიქა არაყი 15 ლარი ღირდა, ტურისტისთვის განკუთვნილ მენიუში 150 ლარი, არ ვიცი, მესამე ვარიანტი ფულიანი კლიენტებისთვის იყო თუ მთვრალებისთვის (მაინც ვერ გაიგებენო), მაგრამ იგივე სასმელის ფასი აქ უკვე ათასებს ცდებოდა. მეორე მაგალითს გეტყვით. ქართველი ქალბატონი, რომელიც თარჯიმნად მუშაობს, რუსთაველზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სასადილოდ შევიდა. მიირთვა ჩიხირთმა სალათთან ერთად, გადაიხადა 45 ლარი და გამოვიდა. მეორე დღეს, იგივე ქალბატონი, იგივე დაწესებულებაში, უცხოელ სტუმრებთან ერთად მივიდა და ზუსტად იგივე კერძი სამ პერსონაზე შეუკვეთა. იცით, რამდენი გადაახდევინეს? ზუსტად 250 ლარი! როცა გააპროტესტა, გუშინ ეს ჩიხირთმა და სალათი 45 ლარი ღირდა და დღეს რამ გააძვირაო, რესტორნის დირექტორმა ძალიან მშვიდად უპასუხა – თქვენ ქართველი ხართ და ისინი ჩამოსულები არიანო.

— **სამაგალითო „სტუმართმოყვარეობაა“. საინტერესოა, ღამის ბარების და რესტორნების დირექტორებს ადამიანების დახარისხების უფლება ვინ მისცა?**

— თუ დაწესებულება ქვითარს ამორტყამს, ჩათვალეთ, რომ კანონთან მართალია, ვინაიდან სახელმწიფოს გადასახადს უხდის და თავის ჩიხირთმას თუ უნდა, 3000 დოლარად გაყიდის, თუმცა ასეთი მიდგომა აშკარად ლახავს ტურისტის უფლებებს და ერთგვარი საბოტაჟის ნიშნებიც ახლავს. ამასთან, მომხმარებლის მოტყუების უფლება არავის აქვს და ამაზე შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. ასე, რომ როცა პრემიერი ღამის კლუბებში გაჩაღებულ პროსტიტუციაზე საუბრობს, მინდა ვუთხრა, რომ სამწუხაროდ, პრობლემა უფრო ფართო და მრავალმხრივია. სხვათაშორის, ბევრი უცხოელი ტურისტი აპროტესტებს არაადექვატურ ფასებს და დაწესებულების დაცვის სამსახურსა და უცხოელებს შორის ხელჩართული დაპირისპირებები ხდება. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტის შემდეგ, ინდოელი მოქალაქეები სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაიყვანეს. მათ სხეულის მძიმე დაზიანებები დაუდგინდათ, რაზეც სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. როცა ასეთი „სანაქებო“ სტუმართმასპინძლობის შემდეგ, მაღალი ტრიბუნიდან ტურისტებს საქართველოში ვეპატიჟებით, ცოტა უხერხულია. ტურისტი რომ ათის დღის სამყოფ თანხას ერთ საათში დახარჯავს და ასეთ აფიორას შეეჯახება, საქართველოში მეორედ ჩამოვა? ასეთმა დაწესებულებებმა განსაკუთრებით საინტერესო სტრატეგია მუსულმანური ქვეყნებიდან ჩამოსულებთან შეიმუშავეს. როგორც იცით, სხვა მუსულმანების მსგავსად, თურქებს რწმენა გასართობ დაწესებულებებში სიარულს და ალკოჰოლის სმას უკრძალავს, მაგრამ მეზობლად არის ქვეყანა, სადაც შეიძლება ისე გაერთო, რომ ოჯახმა და ახლობლებმა ვერაფერი გაიგონ. რამდენიმე წლის წინ, მონიტორინგი ჩავატარეთ და დავადგინეთ, რომ ყოველ ღამე თურქეთიდან აჭარაში დაახლოებით 500 ადამიანი შემოდიოდა და იმავე ღამეს უკან ბრუნდებოდა. ჩამოსულთა 99,9% მამაკაცები შეადგენდნენ და მათი უმეტესობა აჭარის ღამის კლუბებში და საროსკიპოებში შედიოდა. დახლოებით 35% კი სამორინეებში გართობას არჩევდა. ეს ადამიანები იძულებული იყვნენ ერთ ბოთლ შამპანურში 500 დოლარი და ჭიქა მარტინიში ათასები გადაეხადათ, რადგან ხმაურის და აყალ-მაყალის შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია საკონსულოსთან დაკავშირებით აშანტაჟებდა. რა თქმა უნდა, თურქები ამბის გახმაურებას ერიდებოდნენ და ფულს იხდიდნენ, მაგრამ მათი უმეტესობა მეორედ აღარასოდეს ჩამოვა. ამაზე თურქეთის მხრიდან შემომსვლელთა რაოდენობის მკვეთრი კლებაც ადასტურებს. როგორ შეუწყობს ასეთი დამოკიდებულება ტურიზმის განვითარებას, თავად განსაჯეთ.

— **რადგან აჭარაახსენეთ, გეტყვით, რომ ტურისტულ სეზონზე პროდუქტების ფასების გაორმაგება მხოლოდ ტურისტებს კი არა, ადგილობრივებსაც მძიმე ტვირთად აწვება.**

— გაორმაგებას ვინ დაეძებს? ათმაგდება! შარშან, სარფში 30 თეთრიან წყალში 2.50 ლ. გადავიხადე.

— **30 და 50 თეთრის ღირებულების სასმელი წყალი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზეც 2.50 ლარამდე ღირს.**

— აეროპორტში ხაჭაპური 15 და 20 ლარი ღირს, ფინჯანი ყავა 5 ლარი, სიგარეტი გარეთ რომ 3–4 ლარია, აეროპორტში 5–7 დოლარი ღირს. რა გასაკვირია? აეროპორტი თურქული კომპანიისაა და იმ ფასებს აწესებს, რაც მას აწყობს. ამიტომ ვამბობ, რომ ასეთ საკითხებს რაღაც კონკრეტული სამსახური უნდა აკონტროლებდეს. არ ვიცი, ჩვენს კანონმდებლებს სიტყვა პრიორიტეტი როგორ ესმით, მაგრამ ხშირად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების ნაცვლად, ისეთ თემებზე მსჯელობენ, რომ სასაცილოა თუ სატირალი, ვერ გამიგია. ჩვენი ორგანიზაცია წლებია, ამ საკითხებზე მუშაობს და მშვენივრად ვიცით, რომ შეუძლებელია, მხოლოდ ვიღაცის კეთილსინდისიერებაზე ყოფნა. ასეთი პრობლემები მხოლოდ კანონმდებლობით გვარდება. კვლევაში, რომელსაც ვაწარმოებთ, ვცდილობთ საელჩოები და დიპლომატიური კორპუსი ჩავრთოთ, ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც გვქონდა შეხვედრა. თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას, ვინც ასეთ აფიორულ სქემაში მოხვედრილა, ვთხოვ, მოგვმართონ, რომ არაკეთილსინდისიერად მომუშავე ობიექტების იდენტიფიცირება და ადამიანების ინფორმირება მოვახდინოთ. იქნებ ხელისუფლებამ, ქალაქის მერიამ და შესაბამისმა სამსახურებმა ამ პრობლემას ყურადღება მიაქციონ.. გააკონტროლონ, ზღვარი დააწესონ, რაღაც მექანიზმები შექმნან, რომ ტურისტებს ყაჩაღებად და წამგლეჯებად არ გავაცნოთ თავი. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გახდეს აუცილებელი, რომ ასეთ დაწესებულებებში, ყველა მაგიდასთან ერთადერთი, ორენოვანი ან ხუთენოვანი მენიუ იდოს? ის რაც დღეს ხდება, არ ტურიზმს გაავითარებს და არც ქვეყნის წინსვლას წაადგება.

ნელი თორდია
571 35 36 88

რა ჭორებს ავრცელებს „თავისუფალი ზონა“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი ქალბატონის გარდაცვალების შესახებ?

ლია ჭანტურია ერთადერთი ქალბატონია, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაიცვალა, მაგრამ გარდაიცვალა არა დაწესებულების მუშაკთა უყურადღებობით, არამედ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

ცოტა ხნის წინ სააკაშვილის ყურმოჭრილმა სააგენტომ, რომლის წევრებიც ხან ბათუმში ცდილობენ ცეცხლის დანთებას, ხან თბილისში და ხან კიდევ სად, გაავრცელეს ინფორმაცია:

„11 ივნისს, სასჯელაღსრულების N5 (ქალთა) სპეციალურ დაწესებულებაში მსავჯავდებული ლია ჭანტურია სიხლდენის შედეგად გარდაიცვალა, მას სასჯელი რამდენიმე დღეში ეწურებოდა. გარდაცვალებამდე ლია ჭანტურია რამდენიმე თვის განმავლობაში ციხის ადმინისტრაციას თხოვდა, რომ მიექციათ ელემენტარული ყურადღება და ჩაეტარებინათ მკურნალობის კურსი, თუმცა უშედეგოდ, (სავარაუდოდ იმ მოტივით რომ მსჯავდებული ეკუთნოდა ე.წ. უპატრონო პატიმართა კატეგორიას).

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, მას გაბზირებული სისხლდენა დაეწყო, მისი საკანი სისხლის გუბეებით აივსო, სასიკვდილოდ განწირულმა, ბოლოჯერ მიმართა ადმინისტრაციას და ექიმებს, რომ სისხლისგან იცლებოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო და მოითხოვდა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას, გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე, დაწესებულების ექიმი და ადმინისტრაცია იძულებული გახდა მიემართა N18 სამკურნალო დაწესებულებისთვის, მსჯავდებულმა საავადმყოფოდანაც უარი მიიღო, იმ მოტივით, რომ ადგილი არ ჰქონდათ და ორშაბათამდე მოეთმინა (კანონის შესაბამისად უმწეო მდგომარეობაში მყოფის გადაყვანა უნდა მოხდეს ქალაქის სხვა სამკურნალო დაწესებულებაში). სამწუხაროდ, ლია ჭანტურიას ორგანიზმმა ორშაბათამდე ვერ გაძლო და სისხლისგან დაიცლილი, საკანში, კვირას, გარდაცვალილი დახვდათ...მსჯავდებულების გადმოცემით სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრები ხვდებიან მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მაყურებლის მითითებითა და დავალებით“,— „თავისუფალი ზონის“ მიერ გავრცელებულ ამ წერილში სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ ლია ჭანტურია გარდაიცვალა. ჭანტურია სწორედ წინა ხელისუფლებამ აქცია უკიდურეს გაჭივრებულ ადამიანად და იმ პერიოდში იხდიდა ორჯერ სასჯელს ქურდობისათვის. პირადად მაქვს მოსმენილი როგორ წყევლიდა მიხეილ სააკაშვილს და მის ხროვას უამრავი ადამიანის გაუბედურების და უსახლკაროდ დატოვებისთვის. მესამედ ჭანტურია იმიტომ დააკავეს, რომ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულს წასასვლელიც აღარსად ჰქონდა. მას, ოჯახში მისასვლელი გზა სამუდამოდ დაკეტილი დახვდა და ხშირ შემთხვევაში თავშესაფარში ათენებდა ღამეს. არ დადიოდა პრობაციაშიც და სწორედ ამიტომ შეაბრუნეს ციხეში დარჩენილი პირობითი სასჯელის მოსახდელად.

სხვათა შორის წინა სასჯელის მოხდის პერიოდში ლია ეტლით გადაადგილდებოდა და სამედიცინო პერსონალთან გარკვეული პრეტენზიებიც ქონდა. 2010- წლის დეკემბერში, ქალთა კოლონია მატროსოვიდან რუსთავში გადავიდა ჯერ კიდევ დაუსრულებელ, სველ შენობაში, სადაც კანალიზაციის მილები შემდეგ გაიყვანეს და ონკანშიც საშინელი წყალი მოდიოდა. ქალ-პატიმრებს ბეტონის იატაკზე, ფორმალდეჰიდით გაჯერებულ საკნებში აცხოვრებდნენ ისეთ პირობებში სადაც კარგი ფერმერი საქონელსაც არ შეუშვებდა. როგორც ჩემთვის იქ მყოფი პატიმრებისგანაა ცნობილი, ახალი ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს მშენებლების „შეცდომები“ გამოასწოროს და მსჯავრდებულებს ნორმალური ყოფის საშუალება მისცეს...

ცხადია, ნაცანასხლეტების, რომლებიც ყველა ბინძური ხერხის გამოყენებით ცდილობენ დეზინფორმაცია გაავრცელონ, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ და თეთრი შავად წარმოაჩინონ. არ მოსწონთ ის პროგრესი რომელიც აშკარად შეიმჩნევა და მსჯავრდებულებს ადამიანურ პირობებში სასჯელის მოხდის საშუალებას აძლევს. კერძოდ დღეს მსჯავრდებულებს რომლებიც სამეურნეო მომსახურეობის ბაზაში ირიცხებიან, ერიცხებათ ხელფასი 160 ლარის ოდენობით. ქალთა კოლონიში გახსნილია სამკერვალო, სადაც დასაქმებულები არიან მსჯავრდებულები, რათქმაუნდა, შესაბამისი ანაზღაურებით. თუ ავადმყოფ მსჯავრდებულებს ადრე, ექიმ-კონსულთანტთან მიღებაზე, თვეობით უწევდათ ცდა ეხლა ოპერატიულად წყდება საკითხი. ცე ჰეპატიტის მკურნალობა, დღეს ყველა მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომია. მოქმედებს ნარკო და ალკოჰოლდამოკიდებულების პროგრამა. ასევე, თუ ბრალდებული ეგრეთწოდებულ „ლომკაში“ხვდება დაწესებულებაში, იგი შესაბამის დაწესებულებაში გადაყავთ სამკურნალოდ. კიდევ უამრავი სასიკეთო ცვლილებაა სასჯელაღსრულებაში რომელიც რასაკვირველია ნაცხროვას აღიზიანებს. თუმცა ციხე-კოლონია არ არის ადგილი სადაც, ყოფნა საუკეთესო პირობებშიც კი ვინმესთვის სასურველი იყოს...

პატიმარს, რომელიც ხშირად მიკავშირდება, ლია ჭანტურიაზე „თავისუფალი ზონის“ მიერ გამოქვეყნებული წერილი წავუკითხე და კომენტარი ვთხოვე რომელსაც სიტყვა-სიტვით გთავაზობთ — „ლია, სამედიცინო ნაწილში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო განთავსებული. არანაირი სისხლისდენა არ ჰქონია. ასორმოცდაათ კილოგრამამდე იწონიდა და გადაადგილებაც წინა „სროკიდან“ უჭირდა, შეწუხებული იყო, რომ გათავისუფლების შემდეგ არსად წასასვლელი არ ქონდა. არც წინა სასჯელის მოხდის პერიოდში აკითხავდნენ ოჯახის წევრები და არც ეხლა.რასაკვირველია ნერვიულობდა, რომ წინახელისუფლების დამსახურებით ყველაფერი დაკარგა, მათ შორის ოჯახის წევრებიც. რამოდენიმე თვის წინ ფსიქიური პრობლემებიც დაეწყო. სწორედ აღნიშნული პროფილის სპეციალისტთან უნდა გადაეყვანათ ორშაბათს, მეთვრამეტე დაწესებულებაში, მაგრამ სამწუხაროდ თრომბმა დაარტყა და გარდაიცვალა. საოცარია, სისლისდენა რატომ მოიგონეს, თრომბთან ასოცირდება? სასწრაფოც ოპერატიულად მოვიდა, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. თრომბით სახლში და საავადმყოფოშიც კი „პატრონიანი“ ხალხიც არცთუ ცოტა იღუპება... სხვათაშორის, ლია ერთადერთი მსჯავრდებული ქალია რომელიც 2012 წლის შემდეგ გარდაიცვალა და მიზეზი უყურადღებობა ნამდვილად არ ყოფილა. თავისუფალ ზონას იქნებ შეახსენო 2012 წლამდე საჯელაღსრულების სისტემაში რამდენი მსჯავრდებული გახდა სწორედ დაუდევრობის, უყურადღებობის, სამედიცინო ექსპერიმენტის და სხვა ნაცმაქინაციების მსხვერპლი. რაც მე მახსოვს მატროსოვზე, რუსთავში გადასვლამდე 2006 -წლიდან ორმოცდაათზე მეტი მსჯავრდებული გარდაიცვალა. რუსთავში 2012 წლამდე ოცამდე პატიმარი. 2010 წლის დეკემბრიდან სიკვდილს ლამის ვესალმებოდით და ნაცებს ეხლა გაახსენდათ მსჯავრდებულები? ლია, სწორედ მათ პერიოდში დაავადდა, სულიერად განადგურდა და ერთადერთი ქალი პატიმარია, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გარდაიცვალა.“

დიახ, როგორც ჩანს ნაცხროვას სხვა უბედურებასთან ერთად ამნეზიაც დაემართათ. რადგან ციხეში მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებულ წამებაზე, გაუპატიურებაზე, მკვლელობაზე, დამამცირებელ მოპყრობაზე, სანდრას გეგმით განხორციელებულ სამედიცინო ექსპერიმენტზე რომელმაც დიდი თანხები მოუტანა ნაცელიტას უამრავი მსჯავრდებულის ფიზიკურად განადგურების ხარჯზე. (სკრინინგი, დოც და დოც+ პროგრამა) მსჯავრდებულის გვამებს ოჯახს ორგანოებამოცლილს ატანდნენ. არაერთმა სადის თანამშრომელმა და ყოფილმა მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ პატიმრების ორგანოებით სანდრას „ბანდა“ ვაჭრობდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბრალდება უკრაინულ მედიაშიც არაერთხელ გაჟღერდაგაისმა და ბრალდების ადრესატებს შორის სააკაშვილის და რულოვსის გვარებმაც გაიჟღერეს.

ხშირ შემთხვევებში გვამთა პრეპარირება და მათი ორგანოების გაყიდვა ხორციელდებოდა ნათესავების თანხმობის გარეშე. ამის შესახებ დიდი გამოძიება დაიბეჭდა გერმანულ გამოცემა „შპიგელში“. კერძოდ, გამოძიება ეყრდნობოდა „ტუტოგენის“ გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტებს, რომლებიც ჟურნალისტებმა კომპანიის კომპიუტერული არქივიდან მოიპოვეს. ამ დოკუმენტების მიხედვით, უკრაინაში“. აი, ერთ-ერთი მიზეზი რატომ გადაბარგდა მიშა თავის ხროვასთან ერთად უკრაინაში. შავ ბიზნესში გაწაფულები ძველ „ხელობას“ ხომ არ დაივიწყებდნენ? სწორედ ნაცხროვის „ზეობის“ პერიოდში გარდაიცვალა ათასობით პატიმარი ციხეში და ყველა მიცვალებული ყველა ორგანო ამოცლილი გადასცეს პატრონს! ციხიდან გასულ ასობით მსჯავრდებულსაც რამოდენიმე დღეში დაეწია სიკვდილი.

წინა ხელისუფლების დროს პატიმართა წამების საქმესთან დაკავშირებით 70-ზე მეტი თანამშრომელია მიცემული პასუხისგებაში.

სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში 2011 წლის ანგარიშში განმარტავს, რომ 2011 წელს 140 პატიმარი დაიღუპა და მათი საშუალო ასაკი 40-დან 50-წლამდეა. არასათანადო მოპყრობა, უფლებამოსილების გადამეტება, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, პატიმართა გარდაცვალება, საპატიმროებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა...“.

დაბოლოს, სააკაშვილის რეჟიმს და მის „ასკოლკებს“ გულზე ალესილ დანასავით ესობა მცირედი წარმატებაც კი, საიდან არ უტრიალებენ სასჯელაღსრულების სისტემას, როგორ არ ცდილობენ ტალახში ამოსვარონ და მეტიც, ცდილობენ როგორმე „ააბუნტონ“ პატიმრები და მათი ახლობლები. სხვათაშორის, ეს რამდენიმე წლის წინ რუსთავის დაწესებულებაში სცადეს, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ახლაც სცადეს, მაგრამ ხალხი არ აჰყვა ამ სიბინძურეს, მაგრამ როდემდე გაუძლებს ხალხი? როდის უნდა დამთავრდეს ნაციონალების პარპაში ამქვეყნად?!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

პოლიტიკურ აჯაფსანდალში გარეული ვირის ტვინით მო-ჯადო-ებული საქართველო

გვესაუბრება ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

– ბატონო რამაზ, ექსპერტთა აზრით, პოლიტიკაში სრული აჯაფსანდალია. თქვენი აზრით, რა ხდება და რასთან გვაქვს საქმე?

– თუ დღეს ჩვენ აჯაფსანდალი გვაქვს, ეს ჩვენი შეკმაზული აჯაფსანდალია. არც მქონდა იმედი, რომ მიშას შეცვლის მერე, აუცილებლად, მოვიდოდა ხელისუფლება რომელიც ქვეყანას თავს მოუყრიდა და არც უნდა მოსულიყო იმიტომ, რომ მიშამ ყველა სახელისუფლო რგოლში თავის ხალხი ჩასვა. ასე, რომ უნდა მოსულიყო ახალი ხალხი, რომელსაც მართვის გამოცდილება არ ექნებოდა და ასეც მოხდა. მოვიდა ახალი ხალხი, რომელსაც მართვის გამოცდილება არ აქვს. ამ ფონზე ვიღებთ იმას, რომ საკითხები გადაუწყვეტელი, მოუგვარებელია, ქაოსია, და ა.შ. ასე, უნდა მომხდარიყო? – დიახ, უნდა მომხდარიყო. ჩვენ კიდევ უკეთესად მივდივართ, ვიდრე შეიძლება წავსულიყავით. გახსოვთ ხომ სააკაშვილის მომხრეები კრიმინალიტეტის აღზევებით როგორ გვემუქრებოდნენ. ხელისუფლებამ ბევრი დამნაშავე გამოუშვა, მაგრამ მოხერხდა, რომ კრიმინალური სიტუაცია ისე არ გამწვავდა. ასევე, გვემუქრებოდნენ, ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებსო, აქაც, ხელისუფლებამ მოახერხა ჯოხი რუსეთისკენ არ გადაეღუნა, მასთან შენარჩუნდა იგივე ურთიერთობა – გვჭირდება ტერიტორიების აღდგენა. სამაგიეროდ, გაძლიერდა ევროპული ხაზი და საერთაშორისო ასპარეზზე რისკი ნულამდე დავიდა. ასე, რომ გამოუცდელმა ხელისუფლებამ მაინც მოახერხა ბევრი ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც შეიძლებოდა ვერ მოეხერხებინა. კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ისლამური რესპუბლიკიდან მომდინარე საფრთხეს უკავშირდება. გვახსოვს, პანკისის თემა და ა.შ. რამდენი ახალგაზრდა მიდიოდა ისლამურ რესპუბლიკაში? ბოლოს გაგვიგია ასეთი ფაქტები? – არ გაგვიგია და ეს ჩუმად, ხმაურის გარეშე გაკეთდა. ასე რომ ხელისუფლება რაღაცებს ახერხებს. თუმცა, გეთანხმებით, საზაფხულო აჯაფსანდალის განცდა ხშირად დგება, მით უმეტეს, გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც ხელისუფლება აშკარად ვერ პოულობს პასუხს, გადაწყვეტილებებს დროზე ვერ იღებს. ვალად მიღებულ გახმაურებულ საქმეებსაც ვგულისხმობ, რომელიც ბოლომდე მიყვანილი არაა. ხელისუფლებას ნაკლი ბევრი აქვს, მაგრამ ვიმეორებ, შეიძლება უფრო მეტი ჰქონოდა და პრინციპში, საფრთხეები რაც იყო მეტ-ნაკლებად მოევლო.

– თქვენ, ახსენეთ, მიშას ყველა რგოლში თავისი ხალხი ჰყავს ჩანერგილიო. იგი არის „ქართულ ოცნებაშიც“, „ევროპულ საქართველოშიც“, „გირჩშიც“ და ა.შ.

– დიახ, მართლაც საინტერესოა, რა ფენომენია „ნაცმოძრაობა“ და მისი სიცოცხლისუნარიანობა. ჩემი აზრით, ეს ფენომენი, პოლიტიკური რეალობიდან წარმოშობილი არ არის. მართალია როგორც პოლიტ.პარტია ისე შეიქმნა, მაგრამ მერე, მისი მოღვაწეობის პერიოდში, ბევრი დანაშაული მოხდა. ის რამოდენიმე ათასი საჩივარი, ათეული ათასი ვიდეო, აგრეთვე, კრიმინალური ფაქტები მიგვითითებს, თუ რა რაოდენობის კრიმინალი ტრიალებდა „ნაცმოძრაობაში“ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამდენად, მოხდა ის რაც ყველა დანაშაულებრივ ჯგუფში ხდება. ჯგუფი ერთმანეთთან დანაშაულმა შეკრა და სიცოცხლისუნარიანობაც სწორედ ამან მიანიჭა და არა პოლიტიკური იდეის ერთგულებამ. პოლიტიკური იდეის თვალსაზრისით, ახალი არაფერი მომხდარა – დასავლური ორიენტაცია „ნაცებს“ ჰქონდათ, „ქართულ ოცნებასაც“ აქვს, ასევე, სანამ რუსეთი ოკუპაციის რეჟიმს არ დათმობს ურთიერთობას არცერთი არ აპირებს. ანუ, წმინდა პოლიტიკურ საკითხებში დიდ განსხვავებას ვერ იპოვი. ასე, რომ გაუგებარია რატომ უნდა ჰქონდეს „ნაცმოძრაობას“ ამ ხელისუფლებასთან პოლიტიკური მოტივით შეუგუებლობა. მაგრამ თუკი იქედან გამოვალთ, რომ შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ სამართლებრივი დევნა დაიწყოს, ეს „ნაცებისთვის“ მიუღებელი იქნება. მათ უნდათ, რომ სამართალი არ აღსრულდეს და, რადგანაც ამის ეშინიათ, გაცილებით მობილურნი არიან – იცვლიან სახელს, სახეს, ადგილს, ყველა საშუალებას ნახულობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ზემოქმედების ბერკეტი ჰქონდეთ და იმოქმედონ. თუკი მათ მოახერხეს „ქართულ ოცნებაში“ იმ დონეზე შეღწევა, რომ „ნაცების“ მიმართ დევნა შეწყდება, მაშინ, აბსოლუტურად, სულერთია რა ერქმევა პარტიას – „ნაციონალური ოცნება“ თუ „ქართული ოცნება“.

– უკვე დიდი ხანია მმართველი პარტიის მიმართ მათ უმოქმედობასთან დაკავშირებით საყვედურები ისმის. სად არის „ქართული ოცნება“?

– იცით რა, როცა ასეთი მკვეთრი მონახაზი ჩნდება, რასაც თქვენ ჩივით, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დასვას შეკითხვა – რა არის ამის მიზეზი. მე, გაგიზიარეთ, რატომ აქვს „ნაცმოძრაობას“ ბრძოლის ასეთი ჟინი. ჩნდება კითხვა: რატომ არ აქვს ბრძოლის ჟინი „ქართულ ოცნებას“? – ეს ჟინი რაღაცამ უნდა გააჩინოს. „ნაცებში“ როგორც გაჩნდა გასაგებია, ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მაშინ

იდეოლოგია უნდა არსებობდეს. მაგალითად, ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ ახალ რაღაცას აკეთებდნენ. ასევე, „თერგდალეულებს“ ჰქონდათ ბრძოლის ჟინი, მიაჩნდათ, რომ საქართველოს გადარჩენას ემსახურებოდნენ. ასეთ კონკრეტულ ამოცანებშია დასახული ის მიზანი, რომელიც მისაღწევია და არა იავნანასავით იმის სიმღერაში, რომ ჩვენ ყველაფერი კარგად მიგვიდისო. თუ ყველაფერი კარგად მიგდის იქ, ჟინი არ იქნება. ასეთი მონახაზი „ქართულ ოცნებას“ არ აქვს.

– როცა საკადრო პოლიტიკაზე ვსაუბრობდით, აღნიშნეთ რომ საზოგადოებამაც ბევრი რამ დავაშავეთ. ის რომ „ქართულ ოცნებას“ ბრძოლის ჟინი არ აქვს, ეს რას დავაბრალოთ?

– იმ მომენტში სხვა შანსი არ გვქონდა – როგორც მოვიქეცით ისე უნდა მოვქცეულიყავით, მაგრამ ჩვენ ბევრი სხვა რამ დავაშავეთ. პოლიტიკურ ფსიქოლოგიას ვკითხულობ და სტუდენტებისგან ხშირად მესმის: აუ, პოლიტიკა არ გვინდა, არ გვაინტერესებსო. იმ თაობაში რომელსაც მერე ეს ქვეყანა უნდა გადააბარო, პოლიტიკური ცხოვრებისგან გაუცხოება მოხდა. აქტიური ადამიანების სულ რამოდენიმე კუნძული არსებობს იგივე, „აუდიტორია-115“. ანალოგიური ჯგუფები შესაქმნელია. პოლიტიკური ჯგუფები საშუალო თაობაში უნდა გაჩნდეს. ეს ჩვენი ბრალია. „ქართულ ოცნებას“ ვთხოვთ რატომ არ ხარ აქტიურიო და ჩვენ, თავად არ ვართ აქტიურნი. თუ გინდა რომ რამე გეშველოს, იაქტიურე. „ნაცმოძრაობა“ 10–15 კაცი იყო, მეტი კი არა. აქტიურობის ჟინი, რაც საზოგადოებაში დაკარგულია, სწორედ ისაა დაკარგული „ქართულ ოცნებაშიც“. თორემ, ჩემს მიერ ნახსენები აქტიურობით რაღაც ჯგუფებმა რომ წამოიწიოს, პოლიტიკური ალტერნატივები გაჩნდება, „ქართული ოცნება“ ან ვალდებული იქნება ამ ალტერნატივებს გაუსწორდეს ან გავა თამაშიდან. ასე, რომ ჩვენ თავად ვუქმნით „ქართულ ოცნებას“ იმ პირობას, რომ იგი პასიური იყოს.

– ბატონო რამაზ, ახლახან, აჯაფსანდალის კიდევ ერთი ინგრედიენტი – უსუფაშვილის პარტია გამოვიდა ასპარეზზე. რა პერსპექტივა აქვს?

– ძალიან დამაინტერესებდა უსუფაშვილის სახის დანახვა თქვენ რომ ეტყოდით აჯაფსანდალის ინგრედიენტი ხარო (იცინის). ამ მგონია ეს თამაში იყოს და მოგახსენებთ, რატომ. ყველაზე დიდი შანსია ეს ხელისუფლების თამაში იყოს იმიტომ, რომ უსუფაშვილი ბოლოს ამ ხელისუფლების პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მაგრამ, მაშინ, წესით, ხელისუფლება მზად უნდა იყოს იმისათვის ოპოზიციური ხმების რა რაოდენობას აიღებს უსუფაშვილი. ხელისუფლებას, შეიძლება, ჰქონდეს ასეთი გეგმა, რომ თავისი ოპოზიცია ჩასვას. „ნაცების“ დროს გვახსოვს, რომ სატელიტი პარტიები არსებობდა და შეიძლება ანალოგიური „ქართულმა ოცნებამაც“ გაიმეოროს და სხვა ოპოზიციურ ძალას ადგილი არ დაუტოვოს. მაგრამ ამ დროს საჭიროა, რომ ამ ოპოზიციამ ხმები აიღოს. თუ განვლილ პერიოდს შევხედავთ არც უსუფაშვილს, არც „ეროვნულ ფორუმს“ ცალ-ცალკე არ აუღიათ ხმების ის რაოდენობა, რომ მათი შეერთებით რაიმე სიახლეს ველოდოთ.

ივანიშვილმა ერთ წელიწადში მოახერხა ხელისუფლებაში მოსვლა, ესენი ლამისაა 25 წელია არსებობენ და ვერ მოახერხეს. ზოგი ამბობს, ივანიშვილს ფული ჰქონდაო, მაგრამ ეს არაა გადამწყვეტი. გამსახურდიას არც ფული ჰქონდა, არც მასმედია, უბრალოდ, იმას ამბობდა რაც მოსახლეობისთვის მისაღები იყო – გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ის რომ თქვა

10 გვ.

ლალი ანთია:

კოჰაბიტაცია კარგი სიტყვა მეგონა და თურმე ინტიმური კავშირი არ ყოფილა?

ირაკლი ალასანიამ, გელა ხვედელიძემ, ლაშა თორდიამ სამეგრელო როლანდ ახალაიას გადაულოცეს!

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“ ლიდერი, ქალბატონი ლალი ანთია.

— ქალბატონო ლალი, სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, თქვენ ბრძანეთ, რომ ისეთი სკანდალური ინფორმაციების გახმოვანება გინდოდათ, რაც არასდროს გითქვამთ. რა ინფორმაციაა ეს და რამ გადაგაწყვეტინათ ასეთი კატეგორიული ყოფილიყავით?

— პირველ რიგში, მინდა მივესალმო „საერთო გაზეთის“ მკითხველებს, იგივე ჩემს მეგობრებს და თანამოაზრეებს.

სამი თვეა, ხმა არ ამომიღია. არც ერთი საჯარო განცხადება არ გამიკეთებია იმის გამო, რომ მძიმე ავადმყოფი ვიყავი, თუმცა მიმდინარე პროცესებს თვალს ვადევნებდი. რაც ხდება ყველგან საქართველოში და რა სიტუაციაც არის სამეგრელოში, ამის მოთმენა ძალიან ძნელია. გასკდა გული და აღარ შემიძლია ჩუმად ვიყო.

რისთვის ვიბრძოდით, რატომ ვებრძოლეთ ნაციონალებს 2012 წლის არჩევნების დროს და მანამდეც კარგა ხნით ადრე, რისთვის ვწირავდით თავს და ოჯახებს, ნუთუ იმისთვის, რომ სამეგრელოში კვლავ მაგათ ჰქონოდათ ფრთები გაშლილი და კვლავ ამათ ხელში ყოფილიყო ძალაუფლება?

— როცა ასეთ განცხადებას აკეთებთ, კონკრეტული პირები უნდა დაასახელოთ, თორემ „ქართული ოცნების“ ერთგულ თანამდებობის პირებსაც ჩრდილს ვაყენებთ.

— 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებზე რაც მოხდა, არაერთხელ მითქვამს. როგორ გაიყიდა ნაციონალების და არა მხოლოდ მათი ხელით და როგორ ჩააბარეს სამეგრელო **როლანდ ახალაიას**.

— კითხვაზე არ მპასუხობთ, მაგრამ ის მაინც მითხარით, ვინ ჩააბარა სამეგრელო ნაციონალებს?

— თქვენ არ იცით, მე რომ მეკითხებით? ვინ ჩააბარა და **ირაკლი ალასანიამ**. მაკვირვებთ. თქვენ არ იცით ეს ამბავი?

პატიმრობიდან ახალგათავისუფლებული ვიყავი. 2011 წლის თებერვალი იყო. მიბარებს **ლევან ქარდავა** და **დათა ახალაია** და მეუბნებიან: უნდა იაქტიურო და მხარი დაუჭირო არა „ნაცმოძრაობას“, არამედ ირაკლი ალასანიასო. ირაკლი ალასანია უნდა გახდეს პრეზიდენტი, **მიშა სააკაშვილი** პრემიერ-მინისტრი, ამისთვის უნდა იბრძოლო შენო. ამ დროს ირაკლი ალასანიას გვერდით დგას ჩემი შვილი – გიზო სართანია.

ირაკლი ალასანიას ზუგდიდის ცენტრში ჰქონდა გახსნილი „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისი, სადაც, ძირითადად, ნაციონალები იკრიბებოდნენ. ჩემი თვალით ვხედავდი ამას.

ოფისი რესტორან „უკრაინას“ შენობაში განთავსდა. ამ რესტორნის მეპატრონე „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო, მაგრამ **რუსლან შამახიას** მეშვეობით ის ახალგაზრდა კაცი გააძევეს იქედან. ალასანიამ 4000 ლარად იქირავა რესტორნის შენობა. მერე სახლიც იქირავა ზუგდიდში 6000 ლარად, გაარემონტა და იქ დაიწყო ცხოვრება.

მოკლედ, როგორც ზემოთაც გითხარით, ირაკლი ალასანიას ოფისში დაიბუდეს ნაციონალებმა, იმ ხალხმა, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ხალხს, გვირაბებს თხრიდნენ, სასწაულებს ჩადიოდნენ.

მე ვეუბნებოდი ირაკლი ალასანიას: ნუ აკეთებ ასეთ რამეს, ცუდად დაამთავრებ-მეთქი.

არჩევნები ძალაში შედიოდა და ირაკლი ალასანიას შეხვედრა ჰქონდა სოფელ ოდიშში. მოგეხსენებათ, დიდი სოფელია ოდიში. ვხედავ, ოდიშისკენ მარშუტკებით მიემართებიან ნაციონალები. სოფელ ოდიშში **თენგო ქობალია** ჰყავდათ ჩასაფრებული, **ბიძინა ივანიშვილი** რომ არ მიეშვათ იქ.

— თენგო ქობალია ვინ არის?

— თენგო ქობალია ისაა, განყოფილების გამგე რომ არის ახლა ზუგდიდის გამგეობაში.

მივედით, სადაც ხალხი იყო თავმოყრილი **გრიშა ქობალიას** ტელევიზიასთან. იქ ნაცების მხარდამჭერები იდგნენ და ათასგვარ სისაძაგლეს გაიძახოდნენ ბატონი ბიძინას მისამართით.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სასტიკი წინააღმდეგობები გავიარეთ და ახლა ის ხალხი, ჩვენ რომ ლამის მოსაკლავად დაგვდევდნენ, დღეს თანამდებობებზე რომ არიან და ისევ ნაციონალების საქმეს რომ აკეთებენ, ამაზე მწყდება გული.

— „ქართული ოცნების“ ერთგული მხარდამჭერები საერთოდ არ არიან ხელმძღვანელ პოსტებზე? ამას ვერ დავიჯერებ.

— სამი კაციც არაა სამეგრელოს მმართველებს შორის „ქართული ოცნების“ ერთგული მხარდამჭერი და ეს არაა კარგი ამბავი.

მეტსაც გეტყვი: 2006 წელს მე კენჭს ვიყრიდი საკრებულოში და კარგად მახსოვს, **ლაშა თორდია** 24 საათიდან 18 საათს გალეშილი მთვრალი დადიოდა სამეგრელოში კარდაკარ და აგიტაციას უწევდა „ნაცმოძრაობას“. მერე ყველას გაუკვირდა, თორდია რომ ამხელა თანამდებობაზე დატოვეს, მაგრამ ჩვენ, კონკრეტულად, თორდიას წინააღმდეგი კი არ ვართ, აქ საქართველოს მომავალზე არის ლაპარაკი. მთელი საქართველო უნდა დავიცვათ ჩვენ, მაგრამ მე რადგან მთლიანად საქართველოს დაცვა არ შემიძლია, ჩემი კუთხის დაცვას ვცდილობ.

— ვისგან უნდა დაიცვათ?

— 2007-08-09-10 ვინც თავგანწირულად იბრძოდა, ის ხალხია დღეს დასაცავი ნაციონალებისგან. **როლანდ ახალაიას** დღეს ჩოხაში გამოწყობილი თოდუა და მისი ცოლი რომ უმღერის, იცით, ვინ არიან ესენი? გამგეობაში მუშაობს ეს **თოდუა** და მგონი, შვიდი განყოფილების უფროსია. ამ ადამიანს როლანდ ახალაიას შტაბი ჰქონდა ზუგდიდში ჯავახიშვილის ქუჩაზე და ვინც ამ შტაბში ჰყავდა, ის ხალხია დღეს მერიაში, გამგეობაში, გუბერნატორის ადმინისტრაციაში დასაქმებული. არც მე და არც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი ადმინისტრაციულ სამსახურში არ მუშაობს, მაგრამ ამის გამო მე ბიძინა ივანიშვილის საყვედურს ვერ ვიტყვი, რადგან ეს ადამიანი მაშინ შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში, როცა უმძიმესი სიტუაცია იყო ქვეყანაში და ამიტომ ყველაფერს ვპატიობ.

დღეს პარლამენტში „ოცნების“ მხარდამჭერი ძალიან ცოტა მეგულება და ეს არის ღალატი. ბიძინა ივანიშვილის ღალატი, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ღალატს ნიშნავს.

86 შეხვედრა ჰქონდა **ირაკლი ალასანიას** სამეგრელოში. ყველა შეხვედრაში მე მაქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული, რადგან **ბიძინა ივანიშვილის** დავალება იყო ეს, თუმცა, არაფერი მომითხოვია და არც ერთი თეთრი არ ამიღია არაფერში. არც არაფერს არ ვითხოვდი არასდროს. ბევრს ვიცნობ ისეთს სამეგრელოში, თავგანწირულად რომ ებრძოდნენ მაშინ რეჟიმს, მაგრამ ის ადამიანები დღეს ან თურქეთში არიან სამუშაოდ, ან ქვეყნიდან არიან გაქცეული და გადახვეწილი ნაციონალების მუქარით და იმით, გასაქანს რომ არ აძლევენ.

ახლა კიდევ ისეთი რამე მინდა გითხრათ, რაც არასდროს არსად არ მითქვამს, თუ ნებას დამრთავთ.

— ყურადღებით გისმენთ.

— მთელი ცხოვრება ვიბრძვი, მაგრამ უშიშროების სამსახუ-

10 გვ. →

პოლიტიკურ აჯაფსანდალში გარეული ვირის ტვინით მო-ჯადო-ებული საქართველო

8 გვ.

რაც ხალხისთვის მისაღებია, ამას ფული არ სჭირდება. თუ იმას იტყვი, რაც ხალხს სჭირდება, მერე, იგი თვითონ დაგიცავს და ხელისუფლებასთან მიგიყვანს. პოლიტიკოსების ამ ჯგუფს ეს გაცნობიერებული არ აქვს.

— როგორ შეაფასებთ ბოლოს მომხდარ სკანდალს აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან დაკავშირებით, სადაც მედიიდან დაწყებული ენ-ჯე-ოებით დამთავრებული ყველა ხელისუფლებისკენ იშვერს თითს?

— მოდით, ამ საკითხს სხვა კუთხიდან შევხედოთ. გეთანხმებით, რომ პრობლემა არის ჟურნალისტიკაში, ენ-ჯე-ოებში და პარტიებშიც. მაგრამ ეს არა მარტო საქართველოს ინტერესების პრობლემაა, არამედ ამ ფონზე შეიძლება ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდეს აზერბაიჯანთან ურთიერთობის პრობლემის კუთხითაც. როცა ადამიანთა უფლებებზე გაჰყვირი, ამ პრეტენზიის წამოყენების უფლება გარკვეულ ქვეყნებს აქვთ. ჩვენ, თითქმის, მთლიანად აზერბაიჯანზე ვართ დამოკიდებული — ნავთობი მას უკავია, ჩვენ მარტო გამტარი ვართ. არ აღმოვჩნდეთ ისევ, სულელურ მდგომარეობაში. იგივე, ხდება თურქეთთანაც. აქაც, ავყვირდით ადამიანის უფლებებზე, თან ვიძახით, რომ საქართველო თავისი დემოკრატიულობითაა ფასეული. ეს ტყუილია. გეტყვით, რატომ არის ეს ტყუილი — ავტორიტარ და მსოფლიოსთვის მიუღებელ რუსეთთან, ჩვენ, 90-იან წლებში ომი წავაგეთ და აფხაზეთი თავზე დაგვამხეს, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი. გულშემატკივრობის დეპეშაც კი არ მიგვიღია. დასავლეთმა საქართველოს მარცხი ისე ჩაატარა, რომ ერთი წვეთი ცრემლიც არ გადმოსვლია. იყო მაშინ საქართველო დემოკრატიული? შევარდნაძის ფიგურა იყო იმის გარანტი, რომ საქართველო დემოკრატიული იყო და გაეროში ამიტომ მიგვიღეს. თუკი გაეროში მიგვიღეს, თუკი შევარდნაძის ფიგურა დემოკრატიის გარანტია იყო, მაშინ რატომ არ დაგაფასეს ამ დემოკრატიულობით როგორც ქვეყანა. შემდეგ, შევარდნაძესთან შემუშავდა იდეა — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოზე გავლასთან დაკავშირებით. მაშინ კლინტონმა თქვა: ჩვენი ინტერესების წითელი ხაზი კავკასიაზე გადისო. ამერიკის ინტერესების წითელი ხაზი კავკასიაზე ნავთობის გამო გადიოდა და არა დემოკრატიის გამო. თუ დასავლეთმა კარი გაგიღო და ახლაც ხელს გიწყობს იმაში რომ აქ მისი გავლენა გაიზარდოს და ევროპის ნაწილი გახდე, ამაში ძალიან დიდი ნავთობის წილია. დასავლური ღირებულებების ერთგულება ჩვენს ქვეყანას ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ეს იმ მომენტის მერე დაუფასდა, რაც ცხადი გახდა, რომ საქართველომ შეიძლება ნავთობი გაატაროს.

ჩვენ, დღეს, ვიცით, რომ იგივე ჰილარი კლინტონის მხარდამჭერები, მათ შორის, სოროსი და ევროპული წრეებიც ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ, რათა ლიბერალიზმმა მარცხი არ განიცადოს და ლიბერალური ღირებულებები მთელს მსოფლიოში გაძლიერდეს. ეს მარტო ამერიკას არ ეხება. ლიბერალიზმმა ფრონტის ხაზი არ მოხსნა, ბრძოლის ველიდან არ წავიდა, იგი განაგრძობს ბრძოლას. ისეთი განცდა მაქვს, რომ აზერბაიჯანის თემაზე ატეხილი ამხელა ხმაურიც, ნაწილობრივ, იმ ლიბერალიზმის ბრძოლის ერთ-ერთი ველია. თან, ბრძოლის ველი აზერბაიჯანის, თურქეთის თემაზე, სადაც ითხოვენ — შენ იბრძოლეო. გამოდის ჩვენი ინტერესები უნდა დავთმოთ იმისთვის, რომ მერე დაგვიძახონ დემოკრატები ხართო, მაგრამ თუ აზერბაიჯანიდან ნავთობი საქართველოზე აღარ გაივლის, მერე, ფეხებზე დაგვიკიდებენ ისე როგორც ეს 90-იან წლებში გააკეთეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

კოჰაბიტაცია კარგი სიტყვა მეგონა და თურმე ინტიმური კავშირი არ ყოფილა?

9 გვ.



რაც მოხდა სამეგრელოში და საქართველოს რეგიონებში, ხალხის თავგანწირვა რომ არ დაფასდა და პირიქით, ნაციონალებმა პოსტები რომ შეინარჩუნეს, სულგაყიდული გელა ხვედელიძის დიდი წვლილია ამაში.

რამდენიმე თვის წინ ერთი მამალი ნაციონალი ქალი მესტუმრა და შემომთავაზა — კარგი, ძლიერი ორგანიზაცია შევქმნათ და აქციები მოვაწყოთო.

— ვინ იყო ეს ქალი? მეგი გოცირიძე ხომ არა?

— მის სახელს ახლა არ დავასახელებ, ერთ რამეს ვიტყვი მხოლოდ: წინასაარჩევნოდ ისეთი „ბომბები“ უნდა ავაფეთქო, ზანზარს დავაწყებინებ სამეგრელოს. „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წავალ-მეთქი, რომ გითხრა, არც შენ მაპატიებ მაგას და არც ჩემი ახლობლები და თანამებრძოლები. თუმცა დიდხანს არ დავმალავ, ვიტყვი, რაც ხდება და რა უსამართლობაც ტრიალებს სამეგრელოში.

— ასეთი ამბები თუ ხდება, სხვებს რომ თავი დავანებით, სად არიან მერაბ ქვარაია და ედიშერ თოლორაია, „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატები?

— რა გითხრა, ჩემო კარგო. სანამ პარლამენტში მოხვდებოდნენ, აქტიურად ხვდებოდნენ ხალხს ახლა რა გვირის არც ერთ თანამშრომელს არ ვიცნობ. ერთხელ მყავს ნანახი **ვახტანგ გოგელაური**, ამას იმიტომ ვამბობ, რომ არავინ იფიქროს, რაიმე კერძო ინტერესი ამოძრავებს ლალი ანთიასო. კარგად მახსოვს, 2012-ში წინასაარჩევნოდ ყველა რაიონში თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, „ოცნების“ რეგიონალური ოფისების ხელმძღვანელს **გელა ხვედელიძეს**.

გელა ხვედელიძეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა როლანდ ახალაიასთან. არჩევნებზე რაც მოხდა, როგორც დამარცხდა „ქართული ოცნება“, ყველამ დავინახეთ, მაგრამ დავანებოთ ამას თავი. **გელა ხვედელიძის** განკარგულება იყო არჩევნების შემდეგ, რომ „ნაცმოძრაობის“ არც ერთი თანამდებობის პირი არ გათავისუფლებულიყო და არ დაეტოვებინათ თანამდებობები.

— ეს ალბათ ეგ-ეს-ის ბრალია?

— ეგ-ეს-ი ეგ-ეს-ია, ეგ-ეს-ი ეგ-ეს-ია, ეგ-ეს-ი ეგ-ეს-ია... ეს ეგ-ეს-ი ეგ-ეს-ია, ეს ეგ-ეს-ი ეგ-ეს-ია, ეს

ჯუმბერ პატიაშვილი:

თუ წარსულს მიუკერძოებლად არ შეაფასებ, ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს დაგეგმავ

(დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ“ N23)

ჯუმბერ პატიაშვილი: „საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირის რანგში, კრემლში უკანასკნელად 1989 წლის 16 მარტს ვიყავი. მიხეილ გორბაჩოვთან პირისპირ შეხვედრისას ორი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ, პირველი და უმთავრესი აფხაზეთში განვითარებულ მოვლენები იყო, ლიხნის ცნობილი შეკრება ჯერ არ იყო ჩატარებული, მაგრამ ვიცოდით სეპარატისტები რასაც აპირებდნენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელ ბორის ადლეიბასთან გორბაჩოვს გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა, აქედან გამომდინარე ვფიქრობდი, რომ გორბაჩოვის დაყოლიება გამიჭირდებოდა. მან გულდასმით მომისმინა და მითხრა, იმოქმედეთ ისე, როგორც ამას თქვენი რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვსო. მეორე საკითხი ზამთრის ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარებას უკავშირდებოდა, გორბაჩოვი აქაც მხარდაჭერას დამპირდა. კმაყოფილმა დავტოვე კრემლი და მეორე დღესვე დავბრუნდი საქართველოში, აქ კი მოვლენები დრამატულად განვითარდა. 18 მარტს ლიხნის შეკრება გაიმართა და სეპარატისტულ დოკუმენტს (აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ) ადლეიბამაც მოაწერა ხელი. ამის შემდეგ ადლეიბას ვეღარ ვუკავშირდებოდით, სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და შემოგვითვალა, რომ გამოჯანმრთელდებოდა თუ არა, თვითონ ჩამოვიდოდა თბილისში. აღელვებული საზოგადოების დამშვიდება შეუძლებელი გახდა, მეც არანაკლებ ვიყავი აღშფოთებული, მიმაჩნდა, რომ სეპარატისტები, პირველ რიგში კი ადლეიბა, საკადრის პასუხს იმსახურებდნენ. მარტის ბოლოს კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია, თბილისიდან ჩასულ არაფორმალებსა და სეპარატისტებს შორის შეხვედრა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო, ამიტომ 1 აპრილს სოხუმში ჩავედი, შევხვდი აფხაზ ინტელიგენციას, უხუცესებს, სტუდენტებს. არ დამავიწყდება უხუცესი აფხაზის სიტყვები, რომელმაც მორიდებით გამიხმო გვერდით და მითხრა, როცა ქართველები საკუთარი ქართველობის ხაზგასმას იწყებენ და ეროვნულ დროშებს აფრიალებენ, აფხაზებსაც ახსენდებათ საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა და დროშა! აუხსენით თქვენს არაფორმალებს, რომ ამ სამფეროვანი დროშებით სოხუმის ქუჩებში სიარულს უთუოდ მოყვება აფხაზების მხრიდან სეპარატიზმის გაღვივება და გაღიზიანება, რაც არც ქართველ და არც აფხაზ ხალხს სიკეთეს არ მოუტანსო. ვითარება მეტნაკლებად დავაშოშმინეთ, შს მინისტრი გორგოძე და ქართული მილიციის თითქმის მთელი შემადგენლობა აფხაზეთში დავტოვეთ და თბილისში დავბრუნდი. შემატყობინეს, რომ კრემლიდან ხუთკაციანი ჯგუფი გამოგზავნეს პრობლემის ადგილზე შესასწავლად, ზამთრის ოლიამპადასთან დაკავშირებითაც

უნდოდა ერთ-ერთ მაღალჩინოსანს გრამოვს ჩამოსვლა და ბაკურიანის დათვალიერება. მას ვთხოვე ვიზიტი გადაედო, არ მინდოდა ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩამოსულიყო, მაგრამ უარი მითხრა, ვადა იწურებაო, მეორე დღეს აპირებდა ჩამოსვლას. სხვა გზა არ იყო, არაფორმალების ლიდერებს უნდა შევხვედროდი და მეთხოვა, რომ გარკვეული პერიოდი მაინც შეეკავებინათ თავი აქციებისა და დემონსტრაციების ჩატარებისგან. 1989 წლის 3 აპრილს, ღამით ჩემს კაბინეტში შევხვდი ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ნიკო ჭავჭავაძეს. დაძაბული ვითარების მიუხედავად, გულთბილი შეხვედრა გვქონდა, რადგან ზვიადსა და მერაბს ბავშვობიდან ვიცნობდი. საუბარი აფხაზეთის თემით დავიწყეთ, ვთხოვე შეეწყვიტათ აქციები, ორი კვირა ედროვებინათ და თუ ამ ვადაში აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ვერ შევძლებდი, თანამდებობიდან გადავდგებოდი და როგორც ერთი რიგითი ქართველი, მათ გვერდით დავდგებოდი. ისიც ავუხსენი, რომ ძალიან მომგებიანი იყო ზამთრის ოლიმპიადის საქართველოში ჩატარება, დადებითი გადაწყვეტილება რომ მიიღონ, აუცილებელია, მოსკოვიდან წარგზავნილს, საქართველოში სიმშვიდე და სტაბილურობა დახვდეს-თქო. პირველმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა თანხმობა, მართალია ეს კაცი, ვაცადოთ, მით უფრო, რომ ორი კვირა არაფერს წყვეტს, თუ დათქმულ დროში არაფერი გამოვიდა, აქციების გამართვა სოხუმში ზაფხულშიც შეიძლება, გაცილებით მეტი ხალხის მობილიზებას შევძლებთო. დანარჩენებიც დათანხმდნენ და ნორმალურად დავშორდით.

4 აპრილს გრამოვი ჩამოვიდა, დაათვალიერა ბაკურიანი და აღფრთოვანებულმა გვითხრა, რომ ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარებას მხარს დაუჭერდა. ამ დროს თბილისიდან მატყობინებენ, არაფორმალების ლიდერები მომიტინგეებთან და ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად, ფეხბურთის მატჩის შემდეგ, დაიძრნენ და მთავრობის სახლთან აქციას ატარებენო. ყურებს არ ვუჯერებდი, ჩვენი შეთანხმებიდან არათუ ორი კვირა, 24 საათიც არ იყო გასული. სასწრაფოდ დავბრუნდი თბილისში და იმავე საღამოს ბორის ადლეიბას შემცვლელი კანდიდატის შერჩევას შევუდექით. გადაწყდა, რომ ადლეიბას ვლადიმერ ხიშბა შეცვლიდა, რომელიც იმჟამად სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე იყო. სხვათა შორის, მის დასაყოლიებლად რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება დამჭირდა. აფხაზეთის ხელისუფლებისთვის არაფერი შეგვიტყობინებია, ისე ჩავფრინდით 6 აპრილის ადრიან დილას სოხუმში. აეროპორტში შოთა გორგოძე, კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე და მეორე მდივანი ბარამიძე დამხვდნენ. ჩავატარეთ ბიუროს სხდომა, ადლეიბას თანამდებობიდან გადაყენების საკითხი დავსვით და ხიშბას გავუწიეთ რეკომენდაცია. არავინ მოელოდა ასეთ რადიკალურ ზომებს. ბიუროს ყველა წევრი, მათ შორის თავად ადლეიბა, გაოგნებას ვერ ფარავდნენ. ბაგრატ შინკუბამ, აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, რომელიც ერთგვარ იდეოლოგად ითვლებოდა აფხზურ საზოგადოებაში და ჯერ კიდევ 1947 წელს ითხოვდა კრემლისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობას, განაცხადა, ჯუმბერ პატიაშვილი მართალია და მის სამართლიან გადაწყვეტილებას მხარი უნდა დავუჭიროთო. ადლეიბას გარდა, ლიხნის შეკრებაში მონაწილე რამდენიმე სხვა პარტიული და პასუხისმგებელი მუშაკიც გავათავისუფლეთ. რამდენიმე ემოციური შეხვედრაც გვქონდა ხალხთან, დავგმეთ სეპარატიზმი, ქართულ მილიციას სიტუაციის სრული კონტროლი დავავალეთ და 7 აპრილს, გამთენიისას შოთა გორგოძესა და სესილი

გოგიბერიძესთან ერთად თბილისში დავბრუნდი. გამომგზავრებამდე თბილისს დავუკავშირდით და ვთხოვეთ მომიტინგეებისთვის ეცნობებინათ, რომ აფხაზეთში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა, სეპარატისტები საკადრისად დაისაჯნენ და რადგან მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თავადაც შეესრულებინათ პირობა და თავრობის სახლის წინ გამართული აქცია დაეშალათ. ორგანიზატორებმა აქციის დაშლის ნაცვლად, მოთხოვნა შეცვალეს და იმ დროისთვის ყოვლად აბსურდული და წარმოუდგენელი რამ – საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა მოითხოვეს. ესეც ხომ ცხადყოფს, რომ ვითომდა სპონტანურ და უმართავ პროცესებს, სინამდვილეში უხილავი მმართველი ჰყავდა და აქციები სულაც არ იყო ისეთი „ბუნებრივი“, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. აქვე ერთსაც დავამატებ, სოხუმიდან ჩამოსულს აეროპორტში დამხვდა ცეკას მეორე მდივანი ნიკოლსკი და მაცნობა, რომ 12 საათზე პარტაქტივის კრება იყო დანიშნული. თორმეტის ნახევარზე თავდაცვის მინისტრი იაზოვი დამიკავშირდა, 15 წუთში ჩემი პირველი მოადგილე კოჩეტოვი თქვენთან იქნებაო. ზუსტად 15 წუთში შემოაღეს ჩემი კაბინეტის კარი კოჩეტოვმა და როდიონოვმა, არადა ჩემი ინფორმაციით, როდიონოვი თბილისში არ იმყოფებოდა. ე.ი. არასწორ ინფორმაციას გვაწვდიდნენ, ფაქტია, კოჩეტოვიც გაცილებით ადრე იყო თბილისში ჩამოსული, მაგრამ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ცხადი იყო, კრებაზე დასაწრებად იყვნენ მოსული, რისი სურვილიც ნამდვილად არ მქონდა, მაგრამ ეს ჩემს სურვილზე დიდად არ იყო დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ ორივეს ჰქონდა ამის უფლება“.

– **ბატონო ჯუმბერ, გამოდის ესენი წინასწარ ყოფილან „მობილიზებულნი“, არადა მაშინ თბილისში ისეთი ხმები ვრცელდებოდა, რომ კრემლში დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდით და სამხედრო ძალებით დახმარებას ითხოვდით.**

– ეს არის სრული სიცრუე. ხსენებული კრების დაწყებამდე კოჩეტოვსა და როდიონოვს ვთხოვე, რომ საქართველოს შსს-ს ე.წ. მერვე პოლკი, რომელიც ცნობილი მოვლენების გამო, იმხნად ყარაბაღში იმყოფებოდა, საქართველოში დაებრუნებინათ, რადგან თბილისი რამდენიმე ასეული მილიციის იმედად იყო დარჩენილი. როგორც გითხარით, ჩვენი მილიციის დიდი ნაწილი გამწვავებული ვითარების გამო, აფხაზეთში იყო მობილიზებული. „მერვე პოლკის“ დაბრუნებას იმიტომ ვითხოვდი, რომ სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში აუცილებლად მიმაჩნდა, რომ დედაქალაქში წესრიგი ისევ ქართულ მილიციას დაემყარებინა. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი თხოვნა, რომლითაც საკავშირო შსს-საც მივმართე ოფიციალურად. არანაირი სხვა შინაარსის დეპეშა ჯარებთან და ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით, არც ჩემგან და არც ჩემი დავალებით მოსკოვში არ გაგზავნილა. რასაკვირველია, ვალდებული ვიყავი, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ კრემლი საქმის კურსში ჩამეყენებინა და ვაყენებდი კიდეც, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, კრიტიკული სიტუაციებიც კი შერბილებული ფორმით მიმეწოდებინა. მით უმეტეს, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვიყავი, პროცესებს საკუთარი ძალებით გავაკონტროლებდით. სამწუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი, რომ არასანქცირებულ მიტინგებსა მანიფესტაციებს, მფარველი და წამხალისებელი კრემლშიც ჰყავდა, ხოლო საკავშირო აგენტურის ქსელი გაცილებით ფართო და სოლიდური იყო, როგორც ჩვენს მთავრობაში, ისე არაფორმალებს შორის, ვიდრე წარმომედგინა. ხელაღებით ვერავის ვერაფერს დავწამებ, ამიტომ ვითხოვ მაშინდელი მოვლენების მიუკერძოებელ და სრულყოფილ შეფასებას. გამსახურდიას, კოსტავასა და ნიკო ჭავჭავაძესთან შეხვედრის შემდეგ აფხაზეთში რომ წავედი, ჩემს მიმართ ბრალდებები გაისმა, რატომ წავიდა აფხაზეთში, რატომ ეახლა აფხაზებსო. მაშინაც ვამბობდი და გავიმეორებ, მე არავის ვხლებივარ, წავედი ჩემს სახლში, შევხვდი ჩემს ხალხს და მიმაჩნდა, რომ ეს შეხვედრები, როგორც რიგით ადამიანებთან, ასევე ხელმძღვანელობასთან, სასარგებლო იყო, როგორც ქართული, ისე აფხაზური საზოგადოებისთვის. აფხაზეთის პრობლემაზე მიტინგის ჩატარების საბაბი რომ ამოიწურა, მეორე ფრთამ, ირაკლი წერეთლისა

12 გვ.

თუ წარსულს მიუკერძოებლად არ შეაფასებ, ვერც აწმყოს ააშენებ და ვერც მომავალს დაგეგმავ

8 გვ.

და გიორგი ჭანტურიას ე.წ. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრთამ წამოსწიეს ანტისაბჭოთა ლოზუნგები, რასაც ანტისახელმწიფოებრივადაც მივიჩნევდი. ვთქვი კიდეც, რომ ეს არ იყო ეროვნული მოძრაობა და მათ მიერ წარმოდგენილი „ეროვნულობა“ ქვეყანას დაღუპავდა.

9 აპრილის ტრაგედიიდან ერთ თვეში სოხუმის უნივერსიტეტიდან ცალკე გამოყვეს ჯავახიშვილის სახელობის ქართული ფილიალი, არადა სოხუმის უნივერსიტეტის რო-

გორც სტუდენტების, ისე პროფესსორ-მასწავლებლების ორი მესამედი ქართველები იყვნენ. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ამ ნეგატიურ მოვლენას, რასაც ქართველებისა და აფხაზების გამიჯვნა ჰქვია, ქართველი საზოგადოება ოვაციებით შეხვდა, რადგან რადიკალთა ჯგუფმა ეს დიდ „მონაპოვრად“ აღიარა. მერე იყო შევარდნაძის „მეორედ მოსვლა“, რასაც სხვა უბედურებებთან ერთად, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა მოყვა. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ რეალობის შეგრძნება დავკარგეთ. მეზობელი მტრად გასხვა ახსნა არ აქვს. ვცდილობთ ყველაფერი სხვას გადავაბრალოთ, გარეშე მტერს, გარე ძალებსა და ფაქტორებს. ასე მოხდა 9 აპრილის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის დროსაც, ერთადერთი მე ვიყავი, ვინც 9 აპრილს თავისი წილი პასუხისმგებლობა აღიარა. ტერიტორიების დაკარგვისას კი, რომელიც თავისი მასშტაბებით, მსხვერპლითა და ტრაგედიით ათასგზის აღემატებოდა 9 აპრილს, ასეთი ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა ხელისუფლებაში თუ მის მიღმა. ყველამ ხელი დაიბანა და მერე ეს მოძმეთა სისხლით დაბანილი ხელი რუსეთისკენ გაიშვირა. რასაკვირველია, რუსეთს ლომის წილი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში, ის ოკუპანტად მოგვევლინა 2008 წლის აგვისტოშიც, მაგრამ რაში ვლინდება ჩვენი გონიერება? საქართველოს ხელისუფლებას არ ეკისრება თავისი წილი პასუხისმგებლობა, როცა მტერთან საერთო ერის გამონახვის ნაცვლად, შეგნებულად თუ შეუგნებლად მისის მოვლენების ესკალაციაზე და ტერიტორიებს ტერიტორიებზე კარგავს? რუსეთს, როგორც იმპერიას, ყოველთვის ჰქონდა ინტერესი საქართველოს შავიზღვისპირეთის მიმართ, მაგრამ ჩვენი უნიათობითა და ხშირ შემთხვევაში წინდაუხედაობით, ამ ინტერესის გამძაფრების საბაბს ვაძლევდით. ღოცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ვიყავი, არ მოვრიდებივარ ხისტი საკადრო პოლიტიკის გატარებას და სეპარატისტებთან დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებას. საქმე იმაშია, რომ მაშინ მარტო აფხაზებს კი არა, ქართველებსაც გაუჩნდათ სეპარატიზმი, რაც ე.წ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა დანერგეს და ამის პოპულარიზაცია მათ მიერ გამართულ აქციებსა და

მიტინგებზე ხდებოდა. ამ პოპულისტურმა შეძახილებმა, ქართველების უპირატესად წარმოჩენამ და შოვინისტურმა დამოკიდებულებებმა გაგვაუცხოვა აფხაზებთან და ოსებთან, რითაც კარგად ისარგებლა რუსეთმა. რუსეთის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ვგრძნობ ერთმორწმუნეობის ძალასაც და აქედან გამომდინარე, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რუსეთთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების გარეშე, საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღიდგენს. პოლიტიკა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვას ნიშნავს, რაც ქვეყნის საკეთილდღეოდ გარკვეულ დათმობებზე წასვლასა და ლავირების უნარს მოითხოვს. თუ საჭიროება მოითხოვს, მტერსაც უნდა დაველაპარაკოთ.

დავიკიდეთ, მოძმის ძებნა ცხრა მთას იქით დავიწყეთ, იმ მოძმის რომელიც ოც წელზე მეტია წერს პეტიციებს, კონვენციებს, დასკვნებსა თუ რეკომენდაციებს, მაგრამ დღემდე არც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნებია და არც ევროკავშირსა თუ ნატოში შევსულვართ. სიმართლე გითხრათ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „გასაღები“ რუსეთში, კრემლში დევს. ეს „გასაღები“ აფხაზი და ოსი ძმების, პირველ რიგში კი, საკუთარ გულებში უნდა მოვძებნოთ. ისტორიული სამართლიანობისთვის უნდა გავარკვიოთ, რატომ, როგორ და რა პირობებში დავკარგეთ ტერიტორიები, ვისი და რისი „წყალობით“ გვყავს ასეულ ათასობით დევნილი. ჭუბერზე გადმოსვლა ერის ტრაგედიაა, რომელსაც ხელისუფლების უმწეობის, უსუსურობისა საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულის და ღალატის გარდა,

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მსოფლიო პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე

სამყაროში დასადგურებულმა პოლიტიკურმა ქაოსმა რადიკალიზმს გაუხსნა გზა. სამწუხარო ფაქტია, რომ ნებისმიერი პოლიტიკურისაკითხის გადაწყვეტამ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით დაიმკვიდრა ადგილი. ამის თქმის საფუძველს აშშ-ში კონგრესმენ სანდერსზე განხორციელებული თავდასხმაც გვაძლევს საფუძველს. კონგრესმენი, საბედნიეროდ, გადარჩა, თუმცა ჯერ კიდევ მოუწევს საავადმყოფოში ყოფნა. რა გახდა მასზე შეიარაღებული თავდასხმის მიზეზი, უცნობია, რადგან მკვლელი პოლიციამ დაჭრა, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდასხმის ზუსტ მიზეზს ვერ გავიგებთ, რადგან შემსრულებელი ლიკვიდირებულია. მის გარეშე კი შემკვეთებზე (თუ არსებობდნენ) გასვლა გამოძიებას გაუჭირდება.

ამასობაში სენატმა მიიღო დადგენილების პროექტი რუსეთისთვის და ირანისთვის სანქციების გახანგრძლივება-გამკაცრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროექტს 97-მა სენატორმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ ორი იყო წინააღმდეგი. ახლა კანონი ქვედა პალატამ უნდა განიხილოს. დამტკიცების შემთხვევაში დონალდ ტრამპი საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდება, რადგან მისი წინასაარჩევნო დაპირება, რომ რუსეთთან გააუმჯობესებდა ურთიერთობას, შეუსრულებელი დარჩება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთთან ვითარება შეიძლება უფრო მწვავე დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ექსპერტებისა და პოლიტოლოგების განცხადებით, აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ვაშინგტონის პოლიტიკური ელიტა ყოველნაირად ეწინააღმდეგება ტრამპის საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უპრეცედენტო ვითარებად აფასებენ.

მოსალოდნელ გამკაცრებულ სანქციებს ექსპერტები გლობალურ ეკონომიკას უკავშირებენ. აშშ-ის ბიზნესმენები, რომლებიც ბუნებრივი აირის და ნავთობის სფეროში საქმიანობენ, ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი გავლენა ხელისუფლებაში. მათი სურვილია ევროპაში რუსული ბუნებრივი გაზი თავიანთი თხევადით ჩაანაცვლონ. აღსანიშნავია, რომ თხევადი გაზი ბუნებრივზე გაცილებით ძვირია და გადაზიდვაც რთულია. თუმცა ბიზესმენებისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია მეტი შემოსავალი.

ამასობაში დიდ ბრიტანეთში დაიწყო ევროკავშირიდან გასვლის პროცედურა. როგორც პოლიტოლოგები აღნიშნავენ, მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ, შესაძლოა, პროცედურის დასრულება ვერ შეძლოს. მისი რეიტინგი ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში 27-სართულიანი სახლის დაწვის შემდეგ დაეცა. ხანძრის შედეგები უმძიმესია – რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა, ხოლო 58 დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მართალია, ხანძრის გაჩენაში მეის არავინ ადანაშაულებს, მაგრამ ხალხის უკმაყოფილება მისმა დაგვიანებულმა რეაქციამ გამოიწვია. თანაპარტიელებმაც მკაცრი შეფასება მისცეს მის გულგრილობას, რამაც მოსახლეობაში იმიჯის დაცემას შეუწყო ხელი. კონსერვატორებმა ულტიმატუმი წაუყენეს ტერეზა მეის – იგი ან ათ დღეში შეძლებს მოსახლეობაში ნდობის აღდგენას, ან თანამდებობის დატოვება მოუწევს. ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურა, ფაქტობრივად, პოლიტიკური კრიზისის ფონზე დაიწყო.

საფრანგეთში, ევროკავშირის ერთ-ერთ მამოძრავებელ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებიას მეორე ტური დასრულდა. როგორც პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, პირველი ტურის შემდეგ პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პარტიამ „წინ რესპუბლიკამ“ მოიპოვა პარლამენტში სრული უმრავლესობა. ექსპერტები ამას ამომრჩეველთა რეკორდულად დაბალ რაოდენობას უკავშირებენ.

ევროპაში მიმწყდარმა დევნილთა ურიცხვმა ნაკადმა ევროკავშირის ქვეყნებს შორის დაძაბა ვითარება. ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი უარს აცხადებენ აფრიკა-აზიიდან დევნილთა მიღებაზე, რადგან ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში დევნილთა რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა. ამასთან, შიშობენ, რომ დევნილის თუ მიგრანტის სახელით ტერორისტებთან დაკავშირებული პირები შეაღწევენ ქვეყნებში,. პოლონეთში მხოლოდ უკრაინელთა რაოდენობამ უკვე მილიონს გადააჭარბა და ამ ქვეყანას აფრიკა-აზიელი მიგრანტების მიღება აღარ ძალუძს. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ ჩეხი პოლიტიკოსები ხმამაღლა აცხადებენ, დროა, ევროკავშირიდან გასვლაზე ვიფიქროთო.

გასულ კვირას გარდაიცვალა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი, გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ კოლი. კაცი, რომლის სახელსაც უკავშირდება გახლეჩილი გერმანიის გაერთიანება. მისი იდეა იყო ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება, ევროპის შეერთებული ქვეყნების შექმნა. კაცი, რომელმაც პოლიტიკაში მოიყვანა და დააფრთიანა დღევანდელი კანცლერი ანგელა მერკელი. ფრაუ მერკელმა კი უღალატა თავის მასწავლებელს. ჰელმუტ კოლმა სიცოცხლის ბოლომდე არ აპატია მერკელს ღალატი. ალბათ, სამართლიანადაც. ჰელმუტ კოლის მსგავსი გაწონასწორებული, ჯენტლმენი პოლიტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ ოპონენტთან დიალოგი, სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში აღარ არიან.

გია ბურდული
551 17 27 07

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

შმიდტი მიიჩნევდა, რომ გიობეკლე-თეფეს ნაგებობები მხოლოდ და მხოლოდ საკულტო დანიშნულებით ააგეს და ისინი დედამიწის უძველესი ტაძრები უნდა ყოფილიყვნენ. „ტაძრები“ არ ჰგავდა მანამდე აღმოჩენილ არც ერთ ნაგებობას. T-ს ფორმის 3,5-7 მ კირქვის მონოლითური სვეტები განლაგებულია წრიულად (დიამეტრი მერყეობს 10-იდან 20 მეტრამდე). მონოლითებს შორის კედელი ამოყვანილია ქვებით, ხოლო ცენტრში მოთავსებულია ასევე T-ს ფორმის ორი სვეტი, რომელიც სიმაღლით აღემატება დანარჩენებს. გაურკვეველი იყო ვის ეკუთვნოდა მდიდრულად შემკული მონოლითები და რეალურად რას წარმოადგენდა. მკვლევარების აზრით, ყველაზე მსხვილი ცენტრალური მონოლითები ჰგავდნენ სტოუნჰენჯის ქვის ფილებს, მაგრამ 6 000 წლით „ხნიერები იყვნენ“. ყველა შემთხვევაში გაურკვეველი დარჩა ის, რომ ნეოლითი ხანაა, როდესაც ადამიანებმა არ იციან არც მესაქონლეობა, არც მიწათმოქმედება და ასეთ რამეს ასეთ დონეზე რანაირად ქმნიდნენ? „როგორც ჩანს, მეცნიერებს მოუწევთ ხელახლა გადაწერონ ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები“, – აღნიშნა ა. ვოლკოვმა.


ცა ძვ. წ. აღ 10950 წლისთვის

ლანს-ო მედოუზი

გეომეტრიული სახეები და ცხოველების ფიგურები სვეტებზე ბევრად მეტია ვიდრე ორნამენტი. ვარაუდობდნენ, რომ მათი გრაფიკული კომბინაციის მიღმა იმალებოდა სიტყვები და ფრაზები. კლაუს შმიდტი მიიჩნევდა, რომ წარწერები შეიცავდა მხოლოდ იმ ხალხისთვის გასაგებ რაღაც გზავნილს, ანუ საქმე ჰქონდათ ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან, რაც აბსოლუტური გადატრიალებით ემუქრებოდა ისტორიულ წარსულს, ფაქტებს, მოვლენებს.

მკვლევარებმა საბოლოოდ გაშიფრეს თურქეთის ერთ-ერთ უძველეს ტაძარში აღმოჩენილი სახელგანთქმული სიმბოლოები და გაირკვა, რომ ამბავი გამანადგურებელ კომეტას ეხება, რომელიც დედამიწას დაახლოებით 13 000 წლის წინ დაეცა.

იმ პერიოდის მზის სისტემის კომპიუტერული გამოთვლის შედეგად მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სიმბოლოები აღწერს ძვ.წ. დაახლოებით 10 950 წელს ჩამოვარდნილ კომეტას, რაც ზუსტად ემთხვევა მინი-გამყინვარების დასაწყისს, რომელმაც ცივილიზაცია სამარადისოდ შეცვალა.

„ახალგაზრდა დრიასის“ სახელით ცნობილი ეს მცირე გამყინვარება 1000 წელს გაგრძელდა და კაცობრიობისთვის გადამწყვეტ პერიოდად მიიჩნევა, რადგან ეს ის ხანაა, როდესაც წარმოიშვა სოფლის მეურნეობა და პირველი ნეოლითური ცივილიზაცია, სავარაუდოდ, ახალი, უფრო ცივი კლიმატის საპასუხოდ. ამავე პერიოდში გადაშენდნენ გრძელბეწვიანი მამონტები.

მიუხედავად იმისა, რომ მინი გამყინვარება კარგადაა შესწავლილი, ამ დრომდე უცნობია ზუსტად რა გახდა მისი გამომწვევი მიზეზი. ერთ-ერთი წამყვანი ჰიპოთეზა კომეტის ჩამოვარდნაა, თუმცა მეცნირებმა იმ პერიოდის კომეტის ფიზიკური მტკიცებულების პოვნა ვერ შეძლეს.

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევართა განცხადებით, სამხრეთ თურქეთში, მსოფლიოს დღემდე ცნობილ უძველეს ტაძარ გიობეკლე-თეფეში აღმოჩენილი სიმბოლოები დამატებითი მტკიცებულებაა იმისა, რომ მცირე გამყინვარება კომეტამ გამიწვია.

როგორც ირკვევა, გიობრკლე-თეფე არა მხოლოდ უბრალოდ ტაძარი იყო, როგორც მიაჩნდათ, არამედ, შესაძლია, ის უძველესი ობსერვატორიაც ყოფილიყო. „როგორც ჩანს, გიობეკლე-თეფე სრულიად სხვა რამ იყო – ობსერვატორია, საიდანაც ღამის ცას აკვირდებოდნენ. ერთ-ერთი სვეტი ამ გამანადგურებელი მომლენის მემორიალი უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, ისტორიაში ყველაზე საზარელი დღის, რომელიც დიდი გამყინვარების ხანის დასრულების შემდეგ დადგა“, – უთხრა „**Press Association**“-ს უფროსმა მკვლევარმა მარტინ სვიტმენმა.

მიჩნეულია, რომ გიობრკლე-თეფე სტოუნჰენჯამდე თითქმის 6 000 წლით ადრინდელია, თუმცა სვეტზე არსებული სიმბოლოები ამ მოვლენას 2 000 წლით ადრე მომხდარად ასახელებს.

ორნამენტები „ფასკუნჯის ქვის“ სახელით ცნობილ სვეტზე აღმოაჩინეს. ქვის გარშემო ამოკვეთილია სხვადასხვა სპეციფიკურ პოზიციაში. სიმბოლოები დიდხანს უჩენდა თავსატეხს მეცნიერებს, მაგრამ როგორც სვიტმენმა და მისმა ინჟინრების ჯგუფმა აღმოაჩინეს, სინამდვილეში ისინი ასტრონომიულ თანავარსკვლავედებს შეესაბამება და წარმოაჩენს კომეტათა გროვას რომელიც დედამიწას ეცემა.

მკვლევართა აზრით, ქვაზე ამოტვიფრული უთავო ადამიანის გამოსახულება კატასტროფის შედეგად გამოწვეულ უბედურებას და უამრავი ადამიანის სიკვდილს განასახიერებს.

გიობეკლე-თეფეს ორნამენტებს დიდი ხნის მოვლის კვალი ეტყობა. როგორც ჩანს, ადამიანები მასზე ათასობით წელიწადის მანძილზე ზრუნავდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ აღწერილი მოვლენა და მისი შედეგები დიდხანს, საუკუნეების მანძილზე გაჰყვა ცივილიზაციას.

იმის გასარკვევად, მართლაც დაეცა თუ არა კომეტა დედამიწას და დაემთხვეოდა თუ არა „ფასკუნჯის ქვაზე“ დატანილ ვარსკვლავთა ნიმუშების სპეციფიკურ თარიღს, მკვლევარებმა კომპიუტერული მოდელები გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არსებული მოვლენა დაახლოებით ძვ. წ. 10 950 წელს უნდა მომხდარიყო. თარიღის ცდომილება 250 წელს შეადგენს.

ამ ორნამენტის დათარიღება ასევე ემთხვევა გრენლანდიიდან აღებულ ყინულთა გულის ასაკს, რაც მინი-გამყინვარების დაწყების თარიღად ძვ. წ 10 890 წელს განსაზღვრავს.

კი, ბატონო, მაგრამ ამ კოდირებულ სისტემას როგორ შექმნიდა ფაქტობრივად ველური საზოგადოება? ხოლო თუ მათ არ შეუქმნიათ, მაშ ვის უნდა შეექმნა? პირველყოფილი საზოგადოებისა და ამ საზოგადოების ბოლო დროიდან, სხვადასხვა ტომები ურთიერთდაპირისპირებული იყვნენ და მათ გაერთიანებული ძალით საერთო ეკლესია-ტაძრების, მრავალტონიანი ქვის სვეტებით ერთიანი სალოცავის შექმნა არ შეეძლოთ...

თანამედროვე თურქეთის, ერაყის, სირიის, პალესტინის, ხმელთაშუა ზღვის აუზში და სხვა ტერიტორიებზე იმ უძველეს ეპოქაში ცხოვრობდა ოცდაათზე მეტი კოლხი ტომი – ისტორიაში ამ ტერიტორიებზე არ ჩანს სხვა ტომები და ხალხები გარდა კოლხ-პელაზგებისა...

აია-კოლხეთს (საქართველოს) მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაციის ისტორია აქვს

მსოფლიო წარღვნას („წყაროღვნა“) და ატლანტიდის დაღუპვას პლატონი კოსმიურ აფეთქებას უკავშირებს და გარკვეული თვალსაზრისით კოლხეთის მეფის ძმის, ფაეტ(თ)ონის მითით ხსნის. პლატონისავე ცნობით, სწავლულმა ქურუმებმა სოლონს (ათენელი პოეტი, მხედართმთავარი, რეფორმატორი, კანონმდებელი, მიჩნეული იყო ერთ-ერთ ყველაზე ბრძენ ადამიანად. დაიბადა ძვ.წ 638 წელს, გარდაიცვალა ძვ.წ 558 წელს) უთხრეს, რომ ფაეთონის მითში ჩაქსოვილია სინამდვილე, ციური სხეულები დროთა განმავლობაში უხვევენ თავიანთი გზიდან და მის მსგავსად იმსხვრევიანო...

ამერიკელი მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა“ აღნიშნავს, რომ მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული ტომის, კოლხუას კულტურული მემკვიდრე, რომ „კოლხუას ერა დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე“, ანუ ატლანტიდასა და კოლუმბამდელ ამერიკას შორის არსებობდა საზღვაო მიმოსვლა.

დონელის პირველ საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“, რომელიც ესპანეთის სამეფოს ისტორიის აკადემიის წიგნთსაცავში ინახება. იგი პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი“ და ამ ანბანის წინასახე – კოლხუას ანბანი. შემდგომში მისი ხელნაწერები შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ და „მაიას ანბანზე“ დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

აშშ-ის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფ. ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში იმ დროს კოლხები ცხოვრობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას. მეცნიერები ერთ აზრზე შეჯერდნენ, რომ ქსენი-ზანა-დალის (კოლხური, ქართული) კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასულა და იქაც დაფუძნებულა.

ევროპის „დი-ს“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესი ქსენი-ზანას, ანუ ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 000 წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში. მომდევნო, „ვალადა-ს“ („ვალდას“) კლანის ასაკი 17 000 წელია. ქსენი-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებშიც, რასთან გვაქვს საქმე?

დონელის ცნობებსაც თუ გავიზიარებთ, მაშასადამე, ქართულმა ტომმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა, მაიას ტომს შეუდგინა ანბანი და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში – აღნიშნულ საკითხს მოგვიანებით მივუბრუნდეთ.

რაც შეეხება კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენას, ამის შესახებ „რეისის რუკასთან“ დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ. საინტერესო ინფორმაციის სახით შეგვიძლია დავამატოთ, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბის 90-კაციანი ეკიპაჟი (3 გემით) გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან და ეკიპაჟში ძმები მოლაშხიები და ლიპისკუა იყვნენ.

აღნიშნულ ფაქტზე, გამოჩენილ მეცნიერს, ნევროპათოლოგ, პროფესორ იური მოლაშხიას აქვს მოპოვებული მასალები, მაგრამ მიზეზთა გამო კომუნისტური რეჟიმის დროს ვერ მოახერხა მათი გამოქვეყნება. ორი უდიდესი აღმოჩენისთვის ბატონი მოლაშხია გერმანელმა მეცნიერებმა ნობელის პრემიაზე წარადგინეს, მაგრამ იგი ძალიან მალე გარდაიცვალა.

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნა 1998 წელს თ. შოთაძემ. იური მოლაშხია მეხიკოში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისას შეხვედრია მოგვარეს, მექსიკაში მცხოვრებ, დიდი ფოტო-ატელიეს მფლობელ მოლაშხიას, რომელიც კოლუმბის ექპედიციაში მონაწილე უმცროსი მოლაშხიას შორეული მემკვიდრე ყოფილა. მას იური მოლაშხიასთვის გადაუცია მნიშვნელოვანი მასალები ექსპედიციაში მონაწილეთა გვარების მითითებითა და სხვა დოკუმენტებით. სხვათაშორის, კოლუმბის ერთ-ერთ კარაველას, რომლის კაპიტანი ვინსენტე იანესი იყო, მეგრული სახელი „ნინია“ ერქვა...

ამოუცნობი არქეოლოგიური აღმოჩენები

რადგან სიტყვამ მოიტანა, მოკლედ შევეხოთ ათ საოცარ არქეოლოგიურ აღმოჩენას, რომელიც ამოუხსნელ თავსატეხად არის დარჩენილი და მათ შესახებ მხოლოდ ვარაუდებია.

ლანს-ო-მედოუზი – „ახალი სამყაროს“ აღმომჩენად კოლუმბი მიიჩნევა, თუმცა კუნძულ ნიუფანდლენდიზე აღმოჩენილი დასახლება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ 1000 წლის წლის ამერიკის კონტინენტს, იმჯერად ვიკინგებმა მიაღწიეს. მეცნიერთა აზრით, ამ დასახლებაში 30-160 ადამიანი ცხოვრობდა რომლებმაც იქ რამდენიმე წელი გაატარეს.

საკსაიუამანი – ეს სამონასტრო ქალაქი კუსკოში (პერუ), ინკების იმპერიის დედაქალაქში მდებარეობს. ქვები ისე მჭიდროდ არის ერთმანეთზე დაწყობილი, რომ ჩვეულებრივი ქაღალდის ფურცელიც კი არსად ეტევა. სავარაუდოდ, ეს უნიკალური ნაგებობა თავის დროზე ციხე-სიმაგრის ფუნქციას ასრულებდა.

საკსაიუამანი

(გაგრძელება იქნება)

ძლიერი რეგიონები ძლიერი

წყალტუბო

გზების რეაბილიტაცია წყალტუბოში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2017 წლის რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელება დაიწყო. ფონდმა წელს 3 376 662 ლარით დააფინანსა 9 პროექტი, ხოლო ადგილობრივმა ბიუჯეტმა 1352 852 ლარით – 21 პროექტი. პრიორიტეტულია სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია.

წყალტუბოში 9 აპრილის, გამსახურდიას, ახალგაზრდობის ქუჩებისა და ლორთქიფანიძის მე-2 ჩიხის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის, ასევე სოფელ სორმონში ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და ბროწეულას გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე მამისეიშვილმა და გამგებლის მოადგილემ გენადი ბალანჩივაძემ დაათვალიერეს.

ბაღდათი – მიკროავტობუსი სოფელ საბუკიისთვის

25 წლის შემდეგ სოფელ მეორე ობჩის საბუკიის უბნის მიმართულებით სამგზავრო მიკროავტობუსი დაინიშნა, რომელიც ყოველ პარასკევს იმოძრავებს. ობჩიდან დილით, 7.30 სთ-ზე გავა ბაღდათისკენ, ბაღდათის ბაზრიდან საბუკიის მიმართულებით გამოვა 11.30 სთ-ზე. სოფლის მოსახლეობამ მიკროავტობუსის პირველი რეისით უკვე იმგზავრა.

ხარაგაული ხიდარი-ვარძია

ხიდარი-ვარძიის მოსახლეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ 6 თვის ანგარიში წარუდგინა და სამომავლო გეგმებიც გააცნო.

2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 14 სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მათ შორის უპირატესობა სოფლის ცენტრალურ გზებს ენიჭება, ერთი პროექტით სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება. საერთო ჯამში, წელს ხარაგაულში 24 კმ.-მდე გზის რეაბილიტაცია იგეგმება, რისთვისაც 3,5 მილიონი ლარი დაიხარჯება. გამგებლის განმარტებით, მომზადებულია ასევე პროექტები, რომლებიც დამატებით 15 სოფლის გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებს და რისთვისაც 4 მილიონი ლარია საჭირო. პროექტები საკრებულომ უკვე მოიწონა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მათ, სავარაუდოდ, წელსვე დააფინანსებს.

ხიდარის ადმინისტრაციულ ერთეულში წელს მობეტონდება სოფლის ტაძრამდე მისასვლელი 700-მეტრიანი ამორტიზებული მონაკვეთი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ტრანსპორტის მოძრაობას. სამუშაოების დაწყებამდე ხიდარში შესასვლელი ხიდის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, რათა გზის მშენებლობის პროცესში მძიმე ტექნიკის გადაადგილებას პრობლემა არ შეექმნას. პროექტი სტიქიის ფონდიდან 8 000 ლარით ფინანსდება. ნიკოლოზ თოფურიძემ ხიდის აღდგენითი სამუშოები დაათვალიერა.

გზის 500-მეტრიანი მონაკვეთი კეთილმოეწყობა ასევე სოფელ ვარძიის პირველ უბანში. გამგებლის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოიწონა პროექტი, რომელიც აღნიშნული გზის კიდევ 1,5 კილომეტრით გაგრძელებას ითვალისწინებს. ეს პროექტი შესაძლოა წელსვე დაფინანსდეს.

გამგებელმა მოსახლეობას ასევე აცნობა, რომ მიმდინარე ზაფხულს დასრულდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამრიცხველიანება, ხოლო გაზიფიცირების პროექტი მომავალი წლიდან გაგრძელდება. ბაზალეთში, ჩხერში, ახალსოფელსა და თეთრაწყაროში გაზის სისტემა უკვე დამონტაჟებულია, დასასრულს უახლოვდება ჯაფარეულისა და ისლარის დაქსელვა. „სოკარ ჯორჯია გაზიდან“ მიღებული ინფორმაციით, წელს ექვსივე სოფლის მოსახლეობა მიიღებს ბუნებრივ აირს.

ხარაგაული

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ვეჯინში ე.წ. კეჭის სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

● გურჯაანში, თამარ მეფის ქუჩაზე, გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრსა და ე.წ. „პაპას ბაღს“ შორის მდებარე მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება გზა, კეთილმოეწყობა და ადაპტირდება თოჯინების თეატრში შესასვლელი კიბე. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

● გურჯაანში, რუსთაველის ქუჩასა და ნონეშვილის გამზირზე მდებარე ტროტუარების დაზიანებული ადგილების შეკეთება მიმდინარეობს.

● გურჯაანის ნაყინის კომპანიამ თანამედროვე აღჭურვილობა მიიღო, რომლის გადაცემას ესწრებოდნენ ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი და თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ახალი სივრცე და საწარმოო ხაზის აღჭურვილობა, საერთო ღირებულებით 800 000 ევრო (დაახლოებით 2 მილიონი ლარი), შეძენილია ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის წყალობით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გაცემული სესხით, რაც „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (EU4Business) და EBRD-ის საკრედიტო ხაზის ნაწილს წარმოადგენს. ამით „გურჯაანის ნაყინს“ საშუალება მიეცემა გაფართოვდეს და გაზარდოს წარმოება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზი ეხმარება ქართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, მეტად მიუწვდებოდეთ ხელი დაფინანსებაზე და განახორციელონ ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ ყვარელში №1 და №2 საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მიმდინარე სამუშაოები ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა გამგეობის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა.

ყვარელი

სრული რეაბილიტაციის ფარგლებში, №2 საბავშვო ბაღში წესრიგდება ინტერიერი და ფასადი, ეზო, სველი წერტილები, მონტაჟდება გათბობის სისტემა, იცვლება კარ-ფანჯარა, რის შემდეგაც შენობა სრულად დაკმაყოფილებს ყველა საჭირო სტანდარტს.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 340 100 ლარით. სამუშაოები 25 სექტემბრამდე დასრულდება.

№1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციისთვის კი რეგიონალური განვითარების ფონდიდან 66 500 ლარია გამოყოფილი. პროექტის მიხედვით, განახლდება ოთახები და დამონტაჟება გათბობის თანამედროვე სისტემა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ირთანი“ 12 აგვისტომდე დაასრულებს.

● ზ. ჭავჭავაძის, გურამიშვილის ქუჩებზე, ასევე, წერეთლისა და ლაშარის ქუჩების კვეთაზე მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 26 649 ლარი იხარჯება. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 17 ივლისამდე უნდა დასრულდეს.

● სოფელ კუჭატანში ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადგილობრივებისგან პირადად მოისმინა, თუ რა პრობლემები აწუხებთ მათ და დახმარება აღუთქვა.

გამგებელმა დაათვალიერა საბავშვო ბაღის შენობა, თანამშრომლებსა და აღსაზრდელებს გაესაუბრა.

თათბირი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ოთახში გაიმართა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სამუშაო შეხვედრა, რომელზედაც დაისახა ამ პროცესის დაჩქარებისა და უკეთ მომსახურების გზები. შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის განყოფილების უფროსი გივი ბენაშვილი, იურიდიული სამსახურის უფროსი გიორგი გონაშვილი და გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამეგრელოში სტიქიის შედეგებს ითვლიან

წყალდიდობამ მნიშვნელოვნად დააზარალა ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილის და სენაკის მუნიციპალიტეტები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ახუთში 50-მეტრიანი ხიდი

საქართველოსთვის

დაზიანდა. ახუთი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი ავარიულია და მასზე მოძრაობა აიკრძალა. მისი აღდგენაც შეუძლებელია, ამიტომაც მის ნაცვლად ახალი ხიდი აშენდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში წყალდიდობამ და მეწყერმა შიდა გზები დააზიანა. სოფელ ჭალადიდში მდინარე რიონის შენაკადი დამბიდან გადმოვიდა. წყალმა რამდენიმე ადგილას გაბიონიდან გამოჟონა, თუმცა მძიმე ტექნიკისა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების მუშაობის შედეგად სიტუაცია დარეგულირდა. უახლოეს პერიოდში ამ ადგილზე გაბიონები მოეწყობა და დატბორვის საშიშროება მოსახლეობას აღარ ექნება.

ძლიერი წვიმის შედეგად ადიდდა მდინარე ენგური, რომელმაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიაში მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები დატბორა. არსებობდა საშიროშროება, რომ მდინარეს დამბა გაერღვია, მაგრამ წყლის დონემ იკლო. პრევენციის მიზნით ადგილზე მობილიზებული იყო შესაბამისი სამსახურები. უახლოეს დროში დაიწყება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ყველა პრობლემურ მუნიციპალიტეტში 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ საგანგებო შტაბები და ზარალის დამთვლელი კომისიები.

ფოთი

ჯანდაცვის კომისიამ 109 მოქალაქე დააფინანსა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის კომისიამ, რიგით 22-ე სხდომაზე, 109 მოქალაქეს დაუფინანსა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება (ძვირადღირებული მედიკამენტები, ოპერაცია, ტომოგრაფიული გამოკვლევა, ქიმიოთერაპია). 32 ბენეფიციარის სამედიცინო საჭიროებებზე 27 598 ლარი დაიხარჯა.

საერთო კრება სოფელ მაიდანში

აბაშის მუნიციპალიტეტის სამიქაო-მაიდნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მაიდანში გაიმართა დასახლების საერთო კრება სოფლის საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს შეხვდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ვახტანგ გაბელაია და გამგეობის სამსახურის უფროსები, რომლებმაც შეკრებილებს განსახორციელებელი სამუშაო პროექტი გააცნეს. კრების მონაწილეებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

მრავალსართულიანი კორპუსების საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია ფოთში

ფოთის მრავალსართულიანი კორპუსების შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციისთვის 760 ათასი ლარი იხარჯება. აქედან 217 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო დარჩენილი თანხა, 543 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდიდან. პროექტის მიხედვით, შიდა საკანალიზაციო ქსელი 35 მრავალსართულიან კორპუსში რეაბილიტირდება. ფოთის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ ბერდიანსკის ქუჩის 30 საცხოვრებელ კორპუსში. ასეთივე პროექტი 2016 წელსაც განხორციელდა და საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდა 26 მრავალსართულიან კორპუსში, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 690 ლარი დაიხარჯა.

მარტვილი – ნაგვაზაო-ხუნწის დამაკავშირებელი გზა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწისა და სოფელ ნაგვაზაოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დაიწყო. გზის ამ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარი არასდროს ყოფილა. პროექტის ფარგლებში ასფალტბეტონი დაიგება 3905 მეტრზე, ასევე მოეწყობა დამხმარე ნაგებობები (ეზოში შესასვლელები, სანიაღვრე სისტემები, მილხიდები და სხვა).

მიმდინარე სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე გიორგი გოროზია ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულებაა 831381 ლარი. ამ ეტაპზე დასაქმებულია 15 ადგილობრივი, მუშაობს 10 ერთეული ტექნიკა.

ნაგვაზაო-ხუნწის გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სენაკი – ხორშში ასფალტის საფარი იგება

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, მოადგილესთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სოფელ სკურიიდან ადმინისტრაციულ ცენტრამდე, 1800 მ-იან მონაკვეთზე, ასფალტბეტონის საფარი იგება. რეაბილიტირებული გზით 2500-ზე მეტი ადგილობრივი ისარგებლებს.

სამუშაოებზე, რომლის ღირებულება 185 045 ლარია, დასაქმებულია 20 ადგილობრივი მცხოვრები.

აბაშა

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?

– არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

– რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159–ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

– მაინტერესებს „საჩუქრის“ თემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით.

– კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე- 5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

მე-2 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

მე-3 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და

რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამავე კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან

ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს.

სახელმწიფოს პირველი პირების ავტომანქანები

სერიოზული, მნიშვნელოვანი და ძალაუფლების მქონე პირები ხშირ შემთხვევაში ორიგინალობით სრულიადაც არ გამოირჩევიან და გადაადგილების საშუალებების არჩევისას უპირატესობას შავს, მძლავრსა და საშინლად ძვირფას ავტომანქანებს ანიჭებენ...

გვხვდებიან ასევე პატრიოტებიც, რომლებიც დემონსტრაციულად ირჩევენ სამამულო ნაწარმს, თუნდაც ეს მანქანა სრულიად უვარგისი იყოს. და ძალიან იშვიათად გვხვდებიან ისეთი პირველი პირებიც, რომლებსაც განსხვავებული სურვილები აქვთ. ბოლოსდაბოლოს, მათ აქვთ გვირგვინი, ტონობით ბიულეტენები, სადაც მათი გვარების გასწვრივ აღნიშვნაა გაკეთებული და, სულ ბოლოს, შვეიცარიის ბანკში შენახული მილიარდები... თითქმის განუზომელი ძალაუფლების ეს წყაროები საშუალებას აძლევს ამ ადამიანებს, ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სურთ, მიუხედავად იმისა, რამდენად რთულია ამ სასურველი ნივთების შოვნა. ამ ადამიანებს სულაც არ აინტერესებთ, სხვა რას ფიქრობს – მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტია ის, ქუჩაში გამვლელი თუ თავად რომის პაპი...

პაპამობილი

სხვათა შორის, რომის პაპის შესახებ. ყველა კათოლიკეს ამჟამინდელი ლიდერი პაპი ფრანცისკი, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, დაჟავშნულ მანქანებს არ წყალობს. თავის დროზე მისთვის დაამზადეს განსაკუთრებული Mercedes-Benz M–Class, ტყვიაგაუმტარი შუშის ძარით, სადაც პონტიფიკის ტახტი იდგა. ფრანცისკმა

ამ ღვთიური კაპსულით გადაადგილებაზე უარი განაცხადა და ადამიანური სიხარულებით ტკბობა ამჯობინა. ყველაზე ცნობილი პაპა სულიერი საქმეების გადასაწყვეტად 1984 წელს გამოშვებული Renault 4L-თი დაბრძანდება და საჭეს თავად უზის, ხოლო ოფიციალურ ღონისძიებებზე Hyundai Sant Fe-თი გადაადგილდება ფეხზე მდგომი. ეს მანქანა კაბრიოლეტად ამ ძვირფასი „კლიენტის“ გამო გადააკეთეს.

BENTLEY STATE LIMUOSINE

სპეციალურად დიდი ბრიტანეთის დედოფლისთვის ელიზაბეთ II-სთვის კომპანია Bentley-მ დაამზადა სედანი Bentley State Limuosine მაღალი ჭერითა და 400-ცხენისძალიანი ძრავით. შეიძლებოდა დედოფალი არასაკმარის პატრიოტიზმში დაგვედანაშაულებინა (რადგან Bentley კონცერნ Volkswagen-ს ეკუთვნის) მის საკუთრებაში Rolls Royce-ს ავტოპარკი რომ არ ყოფილიყო, რომელშიც 1987 წელს გამოშვებული Phantom VI-ის ერთადერთი ეკზემპლარიც არის, რომელსაც დასაკეცი სახურავი აქვს.

AUDI A 8 L

გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს ყველაზე დიდი ავტოპარკი აქვს, მაგრამ იგი ყოველთვის თითქმის სტანდარტული Audi A 8 L-ით სარგებლობს. ავტომანქანა დაჯავშნულია, აქვს 5 სმ სისქის ტყვიაგაუმტარი შუშები და ასევე ტყვიაგაუმტარი ბორბლები, რომლებსაც შეუძლია გაუძლოს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას და ფსკერის ქვეშ ყუმბარის აფეთქებასაც კი. მანქანაში რაიმე განსაკუთრებული მოწყობილობები არ არის, მაგრამ მინი-ბარი, მაცივარი და მობილური ოფისი ყოველდღიური აუცილებლობაა ისევე, როგორც 450 ცხენიძალის სიმძლავრის 6-ლიტრიანი ძრავი.

BENTLEY DOMINATOR

Bentley ყველგანმავალებს არ აწარმოებდა, ბრუნეის სულთან ბოლკიახს კი მოესურვა ასეთი მანქანის ყოლა. როგორ მოახერხა მან ბრიტანელების დაყოლიება, ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ ამ ყმაწვილისთვის სპეციალურად ექვსი ცალი Bentley Dominator-ი დაამზადეს – მაღალი, ბრუტალური და ისეთი, მართლაც ყველგან რომ მივა... და რამდენიც უნდა ელოდეს მთელი მსოფლიო პირველი კროსოვერის გამოჩენას ამ უძვირფასესი მანქანების მწარმოებლებისგან, ბრუნეიში ყველამ იცის, სინამდვილეში ვის ეკუთვნის ამ მანქანის პირველი ეკზემპლარი...

ROLLS-ROYCE SILVER WRAITH

ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი მანქანებში კარგად ერკვევა. რეტრომობილებისა და კაბრიოლეტების მიმართ განსაკუთღებული სიყვარული ამ ლათინოამერიკული ქვეყნის პირველმა ქალმა-პრეზიდენტმა გააერთიანა 1952 წლის ბრწყინვალე Rolls-Royce Silver Wraith-ში. წარმოიდგინეთ, რა თანხა უჯდება სახელმწიფო ხაზინას ამ ავტომანქანის შენახვა, თუ სათადარიგო ნაწილების რაოდენობასა და ფასს გავითვალისწინებთ! ასე ძალიან მალე შეიძლება ხალხის რისხვაც დაიმსახურო. ამიტომ რუსეფი ამ მანქანაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ჯდება, ჩვეულებრივ კი ეს ქალბატონი Ford Fusion-ით დაბრძანდება.

FORDSON 1951

როგორც ჩანს, ურუგვაის პრეზიდენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვის უფრო ძველი მანქანა ჰყავს. ქვეყნის წინა პირველი პირი, ხოსე მუნიკა, რომელიც ყველაზე ღარიბ პრეზიდენტად ითვლება, 1987 წლის Volkswagen Beetle-თი მგზავრობდა, ტაბარე ვასკესმა კი მას აჯობა და ინაუგურაციაზე 1951 წლის Fordson-ის ფურგონით გამოცხადდა. როგორც აღმოჩნდა, ვასკესს ამ მანქანასთან თბი-

ლი მოგონებები აკავშირებს ჯერ კიდევ იმ, დროიდან, როცა ექიმი იყო. ესკულაპის კარიერა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ახალი პრეზიდენტი „მაიბაზში“ გადაჯდომას არ ჩქარობს.

FORD GALAXIE 500 XL

1970 წელს გამოშვებული ეს ლიმუზინი მხოლოდ ჩილეს პრეზიდენტის გადაადგილების საშუალება კი არა, ამ ქვეყნის ისტორიაც გახლავთ. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დედოფალმა ელიზაბეთ II-მ მაშინ სიღარიბეში ჩაფლულ ქვეყანას აჩუქა. იმ დროისათვის ეს მთელ ჩილეში საუკეთესო ავტომობილი იყო. ეს ძველი „ფორდი“ ძალიან ბევრი საპატიო სტუმრის მასპინძელი იყო და ბევრიც გადაიტანა! ავგუსტო პინოჩეტმაც კი, რომელმაც ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა, პრეზიდენტის ავტომანქანისთვის ხელი არ უხლია. იგი დღემდე ემსახურება ჩილეს პირველ პირებს.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

სახალხო მკურნალი
(მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com